26 MAY CELEBRATION IN 1922 OF INVADED GEORGIA

1922 წლის 26 მაისის დღესასწაული დაპყრობილ საქართველოში

EDISHER NARIMANIDZE
Doctor of History, Assistant - Professor of Samtskhe - Javakheti State University,
Akhaltsikhe, Rustaveli St., №113, 0800, Georgia, +995599019710; +995579090174,
en9011974@yahoo.com; en9011974@gmail.com,
https://orcid.org/0009-0000-4048-6808

Abstract: The paper refers to the celebration of the fourth anniversary (May, 26 in 1921) of the republic of Georgia's national state independence day (1918-1921) after one year of the occupation (February 25, 1921) of the Democratic Republic of Georgia by Soviet imperialist Russia.

Reader can detailed know what kind of situation was in Georgian after one year of Soviet time in Georgia. The writer has talked about people's protests against of this regime. The protest was resigned among the Georgians after one year. Based on the critical study of primary sources, memoir literature and new archival documents and relatively complete. The mentioned issue is covered by the renew and objective analysis.

The main result of the research is that on the basis of the critical study of many unknown and unpublished new archival documents and special (memoir) literature that have entered the scientific circulation, one of the outstanding pages of the centuries-long heroic chronicle of the struggle for the independence of the Georgian nation, the important 1921-1924 of the Georgian people, has been studied and analyzed in Georgian historiography.The struggle for the restoration of the national state independence of Georgia is well described.

In the paper we can read about the situation in Caucasus in 1922. This paper has aspects of history and political situation too.

Key words: May 23; May 24; May 25; May 26; 1922.

ედიშერ ნარიმანიძე
ისტორიის დოქტორი, სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორი,
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113, 0800, საქართველო,
+995599019710; +995579090174,
en9011974@yahoo.com; en9011974@gmail.com,
https://orcid.org/0009-0000-4048-6808

აბსტრაქტი. ნაშრომი ეხება საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ოკუპაციიდან (1921 წლის თებერვალ-მარტი) ერთი წლის შემდეგ, დაპყრობილ საქართველოში, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) მე-4 წლისთავის აღნიშვნას 1922 წლის 26 მაისს.

კვლევაში შედარებით სრულად და ობიექტურადაა წარმოდგენილი ის საპროტესტო მდგომარეობა, რომელიც გასაბჭოებიდან ერთი წლის შემდეგ, 1922 წლის 23-26 მაისს სუფევდა საქართველოში. პრობლემის ირგვლივ არსებული პირველწყაროების, მემუარული ლიტერატურის და ახალი საარქივო დოკუმენტების კრიტიკული შესწავლის და შედარებით სრულად, ახლებურად და ობიექტურად გააზრება-გაანალიზების საფუძველზე გაშუქებულია აღნიშნული საკითხი.

კვლევის ძირითადი შედეგია ის, რომ სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული დღემდე უცნობი

და გამოუქვეყნებელი მრავალი ახალი საარქივო დოკუმენტებისა და სპეციალური (მემუარული) ლიტერატურის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელი ქართველი ერის ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გმირული მატიანის უაღრესად მნიშვნელოვან 1921-1924 წლებში - ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით 1922 წლის აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში.

კავკასიაში შექმნილი თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: 23 მაისი; 24 მაისი; 25 მაისი; 26 მაისი; 1922 წელი.

შესავალი. საქართველოს უახლესი ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი თემის ღრმა მეცნიერული შესწავლან სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო დღემდე ვერ მოხერხდა

1921-1989 წლებში ისტორიული პრობლემების ნამდვილი მეცნიერული კვლევა შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირში შექმნილი პოლიტიკური „კლიმატის“ გამო. სულიერ ცხოვრებაზე საბჭოური იდეოლოგიის მავნე ზეგავლენა ყველაზე მეტად უახლესი ეპოქის ისტორიულმა საზრისმა იწვნია. ეს ნაკლი მთლიანად ვრცელდება საქართველოს უახლეს ისტორიაზე. XX საუკუნის საქართველოს ისტორია შეისწავლებოდა ერთი ყალიბით, ერთნაირი მეთოდოლოგიით: ისტორიის შექმნის საბჭოური პრინციპი ხშირად ყალბი მითების შექმნის პროცესს გვაგონებს. იქმნებოდა ფერადოვანი ზღაპრები მოვლენების, ფაქტების შეფასების თვალსაზრისით. „ერთადერთი სწორი მოძღვრების“ იდეოლოგიური დიქტატით, საბჭოური ისტორიოგრაფია იქმნებოდა მმართველი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმების „ბრძნული ისტორიული დადგენილებების“ შუქზე. ისტორია იწერებოდა „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპზე დაყრდნობით, - სასურველი რეალურ სინამდვილედ საღდებოდა. იგი მოწოდებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი პროგრესის ბაირახტრად წარმოესახა ბოლშევიზმი და საბჭოური ეპოქა წარმოედგინა ქართველი ხალხის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინების ხანად, მისი საუკუნეობრივი ოცნების პრაქტიკულ განხორციელებად. ასეთი მიდგომა ვრცელდებოდა მთელ ისტორიულ პროცესზე, ამასთან კლასობრივი ბრძოლის გენერალიზაციის ამორალური საფუძვლით. ცხადია, ყოველივე ამას სავალალო შედეგები მოჰყვა. იმის გამო, რომ ბოლო დრომდე საბჭოთა მკვლევართა დიდი წრისათვის უცნობი იყო დიდძალი საარქივო მასალა, ბევრი დოკუმენტიც გასაიდუმლოებული, ტაბუდადებული და პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო, რათა ვინმეს ეჭვი არ შეეტანა საქართველოში კომუნისტური პარტიის „უდიდეს ღვაწლში“, იმაში, რომ სწორედ კომუნისტური პარტია იყო მისი „მხსნელი, წარმატებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, ხდებოდა ყალბი დოკუმენტების შედგენა, მათი შეტანა სამეცნიერო ბრუნვაში და გაყალბებულად, ობიექტური, მეცნიერული ანალიზის გარეშე მათი გაშუქება. ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გაყალბება მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის გაზრდისათვის, ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკის დამსახურების გაზვიადებულად წარმოჩენისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის ხელშეწყობას, მათგან ზურგშექცეული ხალხის ფართო მასების მათ მხარეზე გადაყვანას. ისტორიის ავსულებს ფერიულ სამოსელში გამოწყობილ ადამიანთა მოდგმის სიკეთისათვის დამაშვრალ ზეკაცებად ხატავდნენ. მსხვერპლი შეიქმნა აუცილებელი იმ შიშის ჩასანერგად, რითაც შესაძლებელი გახდა ასეთი ავტორიტეტის შექმნა; მაგ., მკვლევარს არავინ მისცემდა უფლებას მზის სინათლეზე გამოეტანა 1921-1924 წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოში დატრიალებული სისხლისმღვრელი მოვლენები, ერის

წინაშე ჩადენილი დანაშაული. საბჭოთა სტერეოტიპების გავლენის და წნეხის ქვეშ შეუძლებელი აღმოჩნდა პროფესიული ეთიკისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვა, ამიტომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მკვლევარების ნაშრომები ეპოქის იდეოლოგიურ ზეგავლენას ვერ აცდნენ. ბევრი მკვლევარი იცნობდა რეალურ ისტორიას, თუმცა ხმამაღლა საუბარს, მითუმეტეს წერას, თავს არიდებდა. და მაინც, რისკზე წასულ მკვლევარს უეჭველი დაპატიმრება, ხოლო მის გამოკვლევას - განადგურება ელოდა. 1921-1924 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენათა შესწავლას ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ გამორჩეული ყურადღება დაუთმო. ქართველ საბჭოთა მკვლევართა მიერ მკაცრი ცენზურის პირობებში, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიქმნა ვიწროკლასობრივი და პარტიული პოზიციებიდან გამომდინარე ნაშრომები (მაგ., მ. კახიანი, მენშევიკები სამუშაოზე, თფ., 1924; მისივე, მენშევიკების გამოსვლის შედეგები და გაკვეთილები, თფ., 1924; მისივე, კიდევ ერთხელ ემიგრაციის შესახებ, თფ., 1927; კ. სულაქველიძე, რა მოხდა (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თფ., 1927; გ. ორჯონიკიძე, მენშევიკების ავანტურა საქართველოში, თფ., 1924; ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თფ., 1927; ფ. ლომაშვილი, ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბ., 1965; გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეოლოგიური და ორგანიზაციული განადგურებისათვის 1903-1923 წწ., თბ., 1974; ბ. გუბელიძე, ქართული მენშევიზმის კრახი, თბ., 1978; შ. ვადაჭკორია, საქართველოს კომკავშირის ბრძოლა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ბურჟუაზიული ორგანიზაციების იდეური განადგურებისათვის (1921-1925 წწ.), თბ., 1985 და სხვ.), დაიწერა უამრავი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, აღნიშნული პერიოდი აისახა 1976 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს VII ტომშიც, სადაც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკვანძო საკითხები ტენდენციურად, ცალმხრივად განიხილებოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თემაზე შექმნილი ნაშრომების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დასაბუთება იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სუბიექტურ - ობიექტური წანამძღვრები „სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვებისათვის, რომ საქართველოში მოხდა „სახალხო აჯანყება“ დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) წინააღმდეგ. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოში მიმდინარე ეროვნული თვითშეგნების აღორძინების პროცესი „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად“ მონათლა, ხოლო 1921-1924 წლების ანტიბოლშევიკური გამოსვლები, და მათ შორის 1924 წლის აგვისტოს აჯანყება - „მენშევიკურ ავანტიურად“.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, საჯაროობისა და დემოკრატიზმის აღორძინების შემდეგ (1991 წ.) გახდა შესაძლებელი წარსულის - XX საუკუნის საქართველოს ისტორიის (მათ შორის 1921-1924 წწ. ისტორიის) ობიექტურად, მიუკერძოებლად გაშუქება და შეფასება. ეს სამმა ფაქტორმა განაპირობა: 1. კომუნისტური იდეოლოგიის წნეხის, შტამპებისა და კლიშეებისაგან გათავისუფლებამ შესაძლებელი გახადა ახლო წარსულის ობიექტური, შეულამაზებელი აღქმა; 2. უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა სხვადასხვა არქივებში დაცული საიდუმლო ფონდები, მკვლევართათვის მანამდე უცნობი მრავალი დოკუმენტი და ისტორიული მასალა, რომლებიც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გასაიდუმლოებული იყო, ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთ გამოცემული ქართველ ემიგრანტთა მემუარები, ემიგრანტ ისტორიკოსთა ნაშრომები და პერიოდული პრესა (ქართული ემიგრანტული პრესა საბჭოური პერიოდის პუბლიკაციებთან შედარებით, თავისუფალია იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან და ცენზურული ზეწოლისაგან), რამაც ქართველ მკვლევართა დღევანდელ თაობას შესაძლებლობა მოგვცა ახლებურად გაგვეაზრებინა XX საუკუნის საქართველოს ისტორია, დაგვემსხვრია ისტორიულ მეცნიერებაში წლობით ჩამოყალიბებული და გაბატონებული ძველი სტერეოტიპები,

ძირეულად შეგვეცვალა ჩვენი წარმოდგენები ისტორიის მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, ქართველი ხალხისათვის სრულად და მართლად წარმოგვედგინა თავისი ისტორიული წარსულის ხილული თუ უხილავი პერიპეტიები, მეობა, კულტურა და ტრადიციები; 3. დღეს, როდესაც ჭეშმარიტი ისტორიის შექმნას პოლიტიკური სისტემა ხელს აღარ უშლის, რადიკალურად შეიცვალა მსოფლმხედველობითი პრინციპი, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თუ კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ენიჭებოდა სოციალურ, კლასობრივ ფაქტორებს, ამასთან, ყველა ისტორიული მოვლენა და ფაქტი კომუნისტური ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობით, ვიწროპარტიული პოზიციებიდან ფასდებოდა, ახლა უკვე დომინირებს ეროვნული იდეოლოგია და ქართულ ისტორიოგრაფიაში წამყვანი ადგილი დაიკავა ეროვნულმა და საერო საკაცობრიო პრინციპების უზენაესობამ, ოფიციალური იდეოლოგიის ზეგავლენისაგან თავდაღწეულმა კრიტერიუმებმა და ზნეობრივმა პრინციპებმა, რომლისთვისაც მთავარია არა საზოგადოების რომელიმე კლასი, არამედ ერი და საერთო-საკაცობრიო პროგრესი. ხდება ყველა ისტორიული მოვლენის და ფაქტის, საერთო-ეროვნული ინტერესების ფონზე მეცნიერული ობიექტურობით გაანალიზება, ადამიანისა და პიროვნების ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლის მიხედვით დაფასება (არაერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი გამოიცა საქართველოს ისტორიის 1921-1924 წლების, ამ უაღრესად საინტერესო პერიოდზე, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი მრავალი საკვანძო საკითხი (მაგ., ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991; ე. გიორგაძე, გვარდიის წინამძღოლი ვალიკო ჯუღელი, თბ., 1993; რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992; შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.), თბ., 1999; ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წწ.), თბ., 1999; რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა, დახვრეტა, გადასახლება, დევნა, წიგნი 1, თბ., 1999; ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996; მისივე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923), თბ., 1997; მისივე, რა მოხდა ?!, თბ., 1997; გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ (ტრილოგია), წ. I, თბ., 1991; წ. II-III, თბ., 1993; გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996 და სხვ.).

თანამედროვე პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული უშიშროების გარანტირება ლოგიკურად უკავშირდება ჩვენი ქვეყნის წარსული პოლიტიკური ისტორიის (მათ შორის 1921-1924 წლების ისტორიის) განზოგადებული შესწავლის აუცილებლობას. მართლაც, საქართველოს 1921-1924 წლების პოლიტიკური ისტორიის წარმოჩენას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზროვნებაში. მითუმეტეს, როცა დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ბევრი მოვლენა და „დეტალი“ გარკვეულწილად ესადაგება წარსულს, ამიტომ საკვლევი თემა უფრო მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს.

საკვლევი თემის სწორად შეფასებისათვის პირველწყაროს წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირებში (*სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები*) დაცული საქართველოში არალეგალურად გამოცემული, გავრცელებული და შემდეგ საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის გაგზავნილი მასალები 1922 წლის 23-26 მაისს საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ (საქმე 1023, საქმე 1305 (პოლიტიკური პარტიების (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული და რადიკალ-დემოკრატიული პარტიები), საქართველოს

სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია და საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) ერთი საერთო მოწოდება, სახელწოდებით „ქართველ ერს“), საქმე 1313 ა („24, 25, 26 მაისი ქალაქ თბილისში“, „რკინის გზაზე და პროვინციაში“ (30/5-1922, თბილისი)), საქმე 1313 ბ (სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქართველი ხალხისადმი, სახელწოდებით „ქართველ ერს“, 25 მაისი, 1922 წ., თბილისი), საქმე 1313 გ („25 და 26 მაისი დუშეთის მაზრაში“, 1922 წ.)).

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს და პირველწყაროს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ყოფილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივებში (*პარტიული არქივი, უშიშროების არქივი*) დაცული საარქივო დოკუმენტები (გრიფით - „არასაიდუმლოდ“ („Несекретно“), „საიდუმლოდ“ („Секретно“), „სრულიად საიდუმლოდ“ („Совершенно секретно“), „მუდმივი შენახვისათვის“ („Хранить постоянно“)).

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (*სრშსსა*) განთავსებულ უშიშროების არქივის მე-6 ფონდში („სისხლის სამართლის საქმეები“), (ფონდი მოიცავს 1919-1989 წლებში საგანგებო კომისიის (ЧК), სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ), გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ОГПУ), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД), სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (КГБ), შინაგან საქმეთა სამინისტროს (МВД) წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებს)), „ჩეკა“-ს მორიგ მსხვერპლთა საქმეში, ინახება პროკლამაცია, სახელწოდებით - „დამოუკიდებლობის დღე საქართველოში (ცნობად - პოლიტიკურ პარტიებისგან)“, რომელიც დაწვრილებით ასახავს იმ საპროტესტო მდგომარეობას, რომელიც გასაბჭოებიდან ერთი წლის შემდეგ, 1922 წლის 23-26 მაისს სუფევდა საქართველოში (სრშსსა, II განყოფილება, უშიშროების არქივი, ფონდი 6, საქმე №22254).

წინამდებარე ნაშრომისთვის ასევე პირველწყაროს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (*სრშსსა*) განთავსებულ პარტიული არქივის მე-13 ფონდში („სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი (1922-1936 წწ.“), (ფონდში დაცული მასალები მოიცავენ: ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სამხარეო კომიტეტის პრეზიდიუმის, პლენუმის, სამდივნოსა და ბიუროს სხდომების ოქმებს, კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს)) დაცული მეტად ძვირფასი საარქივო დოკუმენტები: „ჩანაწერი პირდაპირი მავთულით, ოპერატიული კრებსი 24 მაისის დილის 8 საათიდან 25 მაისის დილის 8 საათამდე“, 1922 წლის 25 მაისი, ხელმოწერა: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე - რუსანოვი (სრშსსა, პარტიული არქივი, ფონდი 13, აღწერა 1, საქმე 52, ფურცელი 26), „ჩანაწერი პირდაპირი მავთულით პოლიტკონტროლიორების პირადი პასუხისმგებლობით“, ამიერკავკასიის საგანგებო კომისია, ხელმოწერა: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების უფროსი - ვროდსკი, საინფორმაციო განყოფილების უფროსი - ცატუროვი (სრშსსა, პარტიული არქივი, ფონდი 13, აღწერა 1, საქმე 52, ფურცელი 27), „ჩანაწერი პირდაპირი მავთულით“, ხელმოწერა: ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე - რუსანოვი (სრშსსა, პარტიული არქივი, ფონდი 13, აღწერა 1, საქმე 52, ფურცელი 29).

ნაშრომის პირველწყაროთა რიგს განეკუთვნება ქალაქ თბილისში 1922 წლის 26 მაისის ამბების თვითმხილველისა და მონაწილის, შემდგომში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მაშინ 17 წლის ქალიშვილის, მარიამ აბრამიშვილის მოგონებები (1922 წლის 26 მაისი (მოგონება), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1. 06. 1996 წ., გვ. 3), ნაწყვეტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.)

დამფუძნებელი კრების წევრის, სოციალ-დემოკრატ იოსებ ირემაშვილის მოგონებებიდან 1922 წლის 26 მაისს მეტეხის ციხესა და საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ (https:// fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25 (1922 წლის 26 მაისი მეტეხის ციხესა და საქართველოში)), დეკანოზ ნიკიტა თალავაძის პირად ფონდში დაცული მასალა 1922 წლის 24 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარი ამბების შესახებ (გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (*გლსქლსმ*), დეკანოზ ნიკიტა თალავაძის ფონდი №025995, გვ. 95) და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მიმართულების ყოველთვიურ ემიგრანტულ ჟურნალში - „თავისუფალი საქართველო“ - დაბეჭდილ სტატიაში მოტანილი მასალა საქართველოში

1922 წლის 26 მაისის დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ (26 მაისის აღნიშვნა, ჟ. „თავისუფალი საქართველო“, სტამბოლი-პარიზი, №24, 10 ივლისი, 1922 წ., გვ. 3-4).

მეთოდები. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ თანამედროვე მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ- შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი.

შედეგები. დაპყრობილ საქართველოში ქართველი ხალხის მიერ 1922 წლის 26 მაისის დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია ქართველი ერის ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გმირული მატიანის უაღრესად მნიშვნელოვან 1921-1924 წლებში;

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1922 წლის 23-26 მაისს, საქართველოში დაგმო 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი (1918-1921 წწ.) განხორციელებული აქცია, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ბრწყინვალე დღესასწაულის - 26 მაისის შეცვლა 25 თებერვლით და აღიქვა რა საქართველოს უახლესი ისტორიის ეს თარიღი არა როგორც ბედნიერების, ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ნათელი მომავლის დღე, - არამედ როგორც დიდი უბედურება, - მკაფიოდ გამოხატა სწრაფვა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისაკენ, რითაც საქართველოს ოფიციალური საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთ და მათი სახით საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს დაანახა ის, რომ ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის 1921 წლის თებერვალ-მარტი იყო არამარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დაცემის დღე, არამედ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემის დღეც, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველომ დაკარგა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამიტომ 1921 წლის თებერვალ-მარტი იყო არა მარტო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემის დღე, არამედ ეროვნული მოძრაობის დასაწყისიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის;

თავისუფლების და დამოუკიდებლობის გარანტი, პირველ რიგში, ერი უნდა იყოს და ერმა უნდა დაამტკიცოს, რომ თავისუფლების და დამოუკიდებლობის ღირსია...

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა 1922 წლის 23-26 მაისს საქართველოში

მასობრივი მშვიდობიანი ანტიბოლშევიკური გამოსვლებით, საპროტესტო აქციებით,

მიტინგებით და დემონსტრაციებით, მიღებული რეზოლუციებით, მიმართვებით და დადგენილებებით, საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს დაანახა და დაუმტკიცა ის, რომ ერთია ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია უცხო, რუსული ხიშტებით, საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა, საქართველოსა და

ქართველი ხალხის მონის მდგომარეობაში ჩაყენება და სულ სხვაა ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების მოსპობა, ქართველი ხალხისათვის ეროვნული თავისუფლებისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის წართმევა;

1922 წლის 23-26 მაისს ქართველმა ხალხმა საჯაროდ ხმამაღლა განაცხადა სანუკვარი მიზნისათვის - სამშობლოს განთავისუფლების, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისათვის განუწყვეტელი და მარადიული ბრძოლის სურვილი;

ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთისა და მისი საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით 1922 წლის აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, რა თქმა უნდა, დადებითად უნდა შეფასდეს.

მსჯელობა. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის I ოცწლეულის პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ შექმნა სუბიექტურ-ობიექტური წანამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა. ამ პირობებმა ხელი შეუწყეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას და არსებობას 1918-1921 წლებში.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ ისტორიული აქტით განხორციელდა ქართული ეროვნული მოძრაობის უმაღლესი მიზანი - ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსეთის იმპერიის 117-წლიანი კოლონიური ბატონობის შემდეგ.

მართლაც, 1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი და უბრწყინვალესი თარიღია საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში. ამ დღეს ქართველმა ხალხმა აღასრულა თავისი საუკუნეობრივი ნაოცნებარი - აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, რეალობად იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს საუკეთესო შვილთა ცხოვრება-მოღვაწეობას.

1918 წლის 26 მაისს ბედნიერებით იყო „გაჟღენთილი“ მთელი საქართველო...

26 მაისი არის იმ რესპუბლიკის დაარსების დღე, რომელიც დაფუძნებული იყო მოწინავე ჰუმანურ იდეებზე, ევროპულ ღირებულებებზე.

სწორედ 26 მაისს იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა თავისუფლად, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება; ერი, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი სხვა ქვეყნის ნაწილად ყოფნაზე; თქვა უარი იმ ქვეყანაზე, რომელიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრისა და დიდი პატრიოტის, ვლასა მგელაძის თქმით, სამოყვროდ მოსული, არამცთუ არ დაგვეხმარა ტანჯული სამშობლოს აღორძინებაში, არამედ ქვეყანა ააოხრა, მდიდარი ტაძარ-მონასტრები გაძარცვა, ღირსეული მამულიშვილები დახოცა, ცოცხლები ციხე-ციმბირში გამოალპო, მშობლიურ ენაზე განათლება და წირვა-ლოცვა აკრძალა, ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, ერის სუვერენობა მოსპო.

1919-1920 წლებში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა ძვირფასი და გასაგები...

მართალია, მხოლოდ 3 წლის დამოუკიდებლობა მცირე დროა და ერთი გაელვებაა ქვეყნის ისტორიისათვის, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „1918 წლის მაისის 26 ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ისტორიაში. 3 წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“. საქართველოს არსებობისა და გმირული ბრძოლის მატიანეში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა“ არა მარტო პოლიტიკური თვალთახედვით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისა და

ბრძოლისუნარიანობის, სულიერი მხნეობა-შემართებისა და სიმტკიცის, მისი უკეთესი მერმისისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის კარგი პერსპექტივა...

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა იმპერიული და იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, მოსპო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა მის მიერვე ცნობილი ქვეყნის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კი პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთ ნაწილთან ერთად ემიგრაციის (საფრანგეთი) მწარე ხვედრი გაიზიარა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ოკუპაციითა და ანექსიით ფიზიკურად დაღუპა დემოკრატიულ რელსებზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული აღმავლობის გზაზე მდგარი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მან ქართველ ხალხს მეორედ დაადგა მონობის მძიმე და სამარცხვინო უღელი და საქართველო მეორედ ჩაითრია იმპერიის მარწუხებში.

სწორედ აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობა ის მწვავე განმათავისუფლებელი ბრძოლა დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის, რომელიც ქართველი ერის დიდი ნაწილის ნება-სურვილმა განაპირობა და რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მისი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან 1921-1924 წლებში...

1921 წელს საოკუპაციო მთავრობამ „იდღესასწაულა“ 26 მაისი, რომ ამით ქართველი ხალხისათვის ეჩვენებინათ ის, რომ დამპყრობელი ძალები თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას იცავდნენ...

როგორც ცნობილია, საბჭოთა იმპერიალისტური რუსეთისა და საქართველოს ოფიციალური საბჭოთა საოკუპაციო ბოლშევიკური ხელისუფლების მესვეურთა ოფიციალური განცხადებით, 1921 წლის თებერვალში საქართველოში მოხდა მშრომელთა „შეიარაღებული აჯანყება“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ „აჯანყებულთადმი“ „ძმური და მეგობრული დახმარებით“ 25 თებერვალს საქართველოში განხორციელდა „სოციალისტური გადატრიალება“ და „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება“, რის შედეგადაც დაემხო „კონტრრევოლუციონერ“ მენშევიკთა, მათი „კონტრრევოლუციური“ მთავრობის და მისი ევროპელი მოკავშირეების - გერმანიისა და ინგლისის 3 წლიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა საქართველოში და საფუძველი ჩაეყარა საქართველოს „ნამდვილი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას“, „ამიტომ საქართველოსა და ქართველი ხალხის ნამდვილი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების, ბედნიერების, უკეთესი მერმისისა და ნათელი მომავლის დღე“ იყო არა 1918 წლის 26 მაისი, არამედ1921 წლის 25 თებერვალი, როდესაც „ნამდვილად განთავისუფლდა საქართველო“; (პოლიტიკური მოსაზრებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მოსკოვმა დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის სტატუსი შეუნარჩუნა. საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი რომ შენიღბულიყო, მოსკოვის ნების თანახმად, 1921 წლის 21 მაისს საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელმოწერილ იქნა „სამოკავშირეო მუშურ-გლეხური ხელშეკრულება“, რომლის პრეამბულაში დადასტურებული იყო საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტი და ხელშეკრულების დამდები მხარეების სრული თანასწორობა; ფაქტობრივად კი, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს კომუნისტური, საბჭოური წესით გამოცხადებული სუვერენიტეტი და არა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, იურიდიულად ცნო საბჭოთა იმპერიალისტურმა რუსეთმა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულებით).

1921 წლის 25 თებერვალი, ისე როგორც 1801 წლის 12 სექტემბერი, ყველაზე უდიდესი დამარცხების თარიღია ჩვენი სამშობლოს - საქართველოს ისტორიაში...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობას საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მესამე წლისთავის აღნიშვნამდე ზუსტად 3 თვე დააკლდა. 1921 წლის 25 თებერვლის ოკუპაციამ 70 წლით დაასამარა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, თუმცა, ბედის ირონიით, 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მაინც „საზეიმოდ“ აღინიშნა...

ბოლშევიკებმა ზუსტად იცოდნენ, რომ 1921 წლის 26 მაისს ქართველები გამოვიდოდნენ დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ამიტომ პროტესტისა და დაძაბულობის შესაკავებლად, თვითონ ჩაატარეს 26 მაისობა, რომელიც თავისებურად გადააკეთეს ერის თავისუფლების დღედ.

ქართველი ხალხი მართლაც დაძაბული ელოდა დამოუკიდებლობის დღის მოახლოებას. საქართველოს მაშინდელმა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ - „რევოლუციურმა კომიტეტმა“ („რევკომმა“) სცადა ქართველი ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ერთი ცუდი პარტია ჩაანაცვლა მეორე, კარგმა პარტიამ და, რომ ეს გარემოება არანაირად არ ხელყოფდა საქართველოს დამოუკიდებლობას:

„წარსულის გამოსწორება“ - სწორედ ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი 1921 წლის 26 მაისის გაზეთ „კომუნისტის“ ყველა პუბლიკაცია, რომლებშიც საუბარი იყო არა საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფაზე, არამედ მენშევიკების ღალატზე, მათ ნაციონალიზმზე, ბურჟუაზიულ ცოდვებზე და, რომ ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებს მხოლოდ კომუნისტური პარტია დაიცავდა.

ბოლშევიკებმა, რომლებიც ჯერ „მყარად ვერ იდგნენ ფეხზე“, ყოველივე ეს თქვეს და გააკეთეს იმისათვის, რომ დრო მოეგოთ. და კიდევ:

ამკვიდრებდნენ გადატრიალების ვერსიას. ამბობდნენ, რომ ეს იყო არა ერთი სახელმწიფოს (საბჭოთა რუსეთის) მიერ მეორე სახელმწიფოს (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) დაპყრობა, არამედ ეს იყო გადატრიალება. უნდოდათ გადატრიალების რიტორიკის გასაღება ისევე, როგორც თავის დროზე ბოლშევიკური გადატრიალება (1917 წლის 25 ოქტომბერი (ახ. სტ. 7 ნოემბერი)) მონათლეს სოციალისტურ რევოლუციად, ამიტომ, საქართველოს კომპარტია და ბოლშევიკები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ საქართველო იყო საბჭოთა, მაგრამ დამოუკიდებელი რესპუბლიკა და, შესაბამისად, 26 მაისიც დაიგეგმა, როგორც ამ ვერსიის გასამყარებელი პიარ - აქცია. პრესის ფურცლებზე დაიწყო ბოლშევიკების „რიტორიკა“ დამოუკიდებლობის 3 წლის იუბილესთან დაკავშირებით...

„გაუმარჯოს 26 მაისს! გაუმარჯოს მშრომელთა საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას!“ - ვკითხულობთ გაზეთ „კომუნისტის“ 1921 წლის 26 მაისის ნომრის პირველ გვერდზე. საქართველოს მაშინდელმა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ოკუპაციის პირველ წელს შეენარჩუნებინა 26 მაისი, როგორც დამოუკიდებლობის იუბილე, იმის ხაზგასმით, რომ 3 წლიანი „მონობის“ შემდეგ, 1921 წელს, ქვეყანამ რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვა (თუმცა, საქართველოს მაშინდელი საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება საგაზეთო სტატიაში - „26 მაისის ნამდვილი სახე“ მაინც შეეცადა ეროვნულ პოზიციაზე მდგარი ქართველი საზოგადოება დაერწმუნებინა იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველო შეიქმნა არა 1918 წლის 26 მაისს, არამედ 1921 წლის 25 თებერვალს: „რუსეთის პროლეტარული ფრონტის დეზერტირებმა, სოციალისტური რევოლუციის რენეგატებმა - მენშევიკებმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს ე. წ. „საქართველოს დამოუკიდებლობა“... ნამდვილი დამოუკიდებელი საქართველო მას შემდეგ შეიქმნა, როცა ის გახდა მუშების და გლეხების საქართველო. მთელი საუკუნეებით დამონებული ქართველი ხალხი სწორედ 1921 წლის 25 თებერვლის

შემდეგ განთავისუფლდა საქართველოს კპ და რუსეთის ძმური წითელი ლაშქრის დახმარებით...“).

1921 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის მესამე წლისთავი იმის გამო აღინიშნა, რომ ნულოვანი ლეგიტიმაციის მქონე საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება საზოგადოების გაღიზიანებას მოერიდა...

მართალია, ქართველი ბოლშევიკები არავითარ სიმპათიას არ იჩენდნენ 26 მაისის თარიღისადმი, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) მხოლოდ 3 თვის გასაბჭოებული იყო და ქართველი ბოლშევიკების პოლიტიკური ძალაუფლება არ იყო მყარი, საჭირო იყო ქართველი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერისა და ნდობის მოპოვება, ამასთან ქართული ემიგრანტული და ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტა, ეროვნულ ნიადაგზე მდგარი ემიგრანტული და ადგილობრივი ქართული პოლიტიკური პარტიები, ქართული ადგილობრივი, ემიგრანტული და ევროპული პერიოდული პრესა საბჭოთა იმპერიალისტურ რუსეთს ქართველი მოღალატე ბოლშევიკების ხელშეწყობით სამართლიანად ბრალად სდებდა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოსადმი შეიარაღებულ აგრესიასა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ოკუპაციაში, - ამ და სხვა გასაგები მიზეზების გამო, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ქართველმა ბოლშევიკებმა, გაითვალისწინეს რა ეროვნულ პოზიციაზე მდგარი ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სულიერი განწყობილებაც, ამასთან ერთად, შესაძლო პოლიტიკური ექსცესების და გართულებათა თავიდან აცილების მიზნითაც, ოკუპაციის პირველ ეტაპზე, უპირატესობა „მიანიჭეს“ არა 25 თებერვალს, არამედ 26 მაისის თარიღს და მის „საზეიმო“ აღნიშვნას (რა თქმა უნდა, კომუნისტური გაგებით - „ამ დღეს აღინიშნოს საქართველოს განთავისუფლება იმპერიალიზმისგან, მენშევიზმისაგან და დამოუკიდებლობის მენშევიკური გაგების მთლიანი კრახი“; „დღევანდელი 26 მაისი არის განთავისუფლება იმპერიალისტური კონტრრევოლუციის და მისი აგენტების - მენშევიკების ბრჭყალებიდან. წინა წლების ორი ზეიმი ეს არის ზეიმი დამონებისა, ხოლო დღეს წითელი დროშით ხელში ჩვენ ვიზეიმებთ მას, როგორც პირველ ჭეშმარიტ დღესასწაულს ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოისას“; „1) „26 მაისს გამოცხადდა საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობის იდეა; 2) 26 მაისი შედეგია ოქტომბრის რევოლუციისა; 3) 26 მაისი მენშევიკების პარტიამ გამოიყენა საქართველოს მშრომელთა მასის დამონებისათვის, მენშევიკების და ბურჟუაზიის გასაძლიერებლად; 4) 26 მაისს ჩვენ, კომუნისტები ვუქმობთ, როგორც ნამდვილ დამოუკიდებელ დღესასწაულს, საქართველოს მშრომელთა მასის განთავისუფლებას მენშევიკების და ევროპის კაპიტალიზმისაგან“) მეტ-ნაკლებად ხელი არ შეუშალეს. ეს „დათმობა“, გარკვეულწილად განახლებული ეროვნული მოძრაობის შედეგიც იყო.

ცხადია, შექმნილ ვითარებაში, საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის ანტიეროვნულ პოლიტიკურ კანონმდებლობას მტკიცედ უნდა დაპირისპირებოდა მთელი ქართველი ხალხის ამაღლებული ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ერთიანობა, ქართველი ერის ურყევი ნება და სწრაფვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენისაკენ, რაც იყო არსებითი და უმთავრესი ეროვნული თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში.

1918 წლის 26 მაისის დღესასწაული დიდი ზეიმით აღინიშნა დემოკრატიულ

საქართველოში 1919 და 1920 წლებში. ამასთან მაშინ, როცა, 1918 წლის 26 მაისი ოქროს ასოებით აღიბეჭდა საქართველოს ისტორიაში და დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე ხნის არსებობის მიუხედავად, საქართველოს ისტორიაში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა“ არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისუნარიანობის, სულიერი სიმტკიცის, მისი უკეთესი მომავლისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის სიმბოლო, ამიტომ საქართველოს კპ

(ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის ზემოთაღნიშნულ განცხადებებზე და გადაწყვეტილებებზე არ დააყოვნა საპასუხო, მკვეთრმა უარყოფითმა რეაქციამ:

ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საქართველოს კპ (ბ) ცკ ბიუროსა და პლენუმის მიერ მიღებული და კანონმდებლობის გზით ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკური ცვლილებები არ მიიღო და ბოლშევიკების მიერ მოწყობილ 26 მაისის „დღესასწაულში“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა:

ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა მალე აუღეს ალღო რუსი ოკუპანტების და ქართველი ბოლშევიკების ვერაგობას და დაუპირისპირდნენ კიდეც მას შემდეგი ტაქტიკით: თბილისში, სადაც კომუნისტურმა რეჟიმმა დაგეგმა დამოუკიდებლობის დღის საბჭოთა შინაარსით აღნიშვნა, გამოაცხადეს ბოიკოტი და მოუწოდეს მოქალაქეებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ფარსში, რაც ასე მოხდა კიდეც: რეალურად 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თბილისში ფაქტობრივად „იზეიმეს“ მხოლოდ ქართველმა კომუნისტებმა და რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა. ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი ქალაქ თბილისში არ გამოსულა დამოუკიდებლობის დღის საბჭოთა შინაარსით „სადღესასწაულოდ“.

ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ბოიკოტი თბილისში პროტესტის დემონსტრირებად გადაიქცა...

განსხვავებული ვითარება შეიქმნა რეგიონებში, სადაც წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერების მითითებით, მოეწყო სახალხო-საპროტესტო გამოსვლები ოკუპაციის გასაპროტესტებლად. სწორედ რეგიონებში გამოაჩინა ოკუპანტმა ნამდვილი სახე: გამოსვლები ძალის გამოყენებით დაშალეს, რასაც მოჰყვა მსხვერპლი გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში...

26 მაისის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა 1922 წლიდან...

სასტიკი საბჭოთა იმპერიალისტური რეჟიმი მართლაც სასტიკი მეთოდებით ცდილობდა საქართველოში მყარად დამკვიდრებას. ქართველი ხალხის მცდელობას, არ დაევიწყებინა უახლესი წარსული, უზარმაზარი რესურსებითა და სასტიკი იმპერიული მეთოდებით დაუპირისპირდა საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი...

ბოლშევიკებმა ძალა არ დაიშურეს საიმისოდ, რომ ქართველი ხალხის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად 1918 წლის 26 მაისის კვალიც წაეშალათ, თითქოს ამით, ერის ცნობიერებიდან დაკარგული თავისუფლების წაშლასაც მოახერხებდნენ. საქართველოში, ქართველ ხალხში თავისუფლებისმოყვარე სული კი არასოდეს ჩამკვდარა...

1922 წლის 26 მაისის დღესასწაულის მოახლოების გამო საქართველოს საოკუპაციო მთავრობამ მთელი თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინა. მაისის პირველი რიცხვებიდან მთელ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1023) დაიწყო უსასტიკესი წინასწარი რეპრესიები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ქალაქებსა და სოფლებში (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) აპატიმრებდნენ სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები ქართველები იყვნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). განსაკუთრებული რეპრესიები თავს დაატეხეს ქართველ ოფიცრობას (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). დააპატიმრეს მრავალი ქართველი ოფიცერი, მილიციის მოხელე, უბრალო მოქალაქე, მოსწავლე ახალგაზრდობა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), გლეხი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), მუშებით ხომ სავსე იყო „ჩეკის“ სარდაფები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დააპატიმრეს როგორც ყველა პარტიის ლიდერები, ისე რიგითი წევრები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). 16 მაისს გაიცა სასწრაფო ბრძანება, რომ ყველა სასწავლებელი უნდა დაკეტილიყო 20 მაისისათვის, იმის მიუხედავად, რომ სასწავლო წელი ივნისის შუა რიცხვებამდე უნდა გაგრძელებულიყო. მოსწავლე ახალგაზრდობას და მასწავლებლებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ თბილისი. რკინიგზას

დაევალა 24 მაისამდე სპეციალური მატარებლების გამზადება: ორმოცი ვაგონის ბათუმისაკენ და ოცი ვაგონის კახეთისაკენ ახალგაზრდობის უფასოდ გადასაყვანად, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობამ არ მოისურვა ეტაპით გამგზავრება და ბათუმისაკენ მომზადებული 40 ვაგონიდან მხოლოდ 11 წავიდა, ისიც ნახევრად ცარიელი; ასევე მოხდა კახეთისაკენ. უმაგალითო ამბავი მოხდა ქუთაისში: როგორც კი მოვიდა 20 მაისისათვის მოსწავლეთა დათხოვნის ბრძანება, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებლები გაიფიცნენ. „მთავრობა“ საგონებელში ჩავარდა. ბოლოს ბრძანება გასცეს, რომლის ძალითაც ყველა მოსწავლე გადაყვანილი იყო კლასიდან კლასში, ხოლო ბოლო კლასის მოსწავლეებს მიეცემოდათ სიმწიფის ატესტატები; მასწავლებლები კი იყვნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) სამსახურიდან (ე. ნ.) დათხოვილი.

23 მაისისათვის მთელს საქართველოში რეპრესიებმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია... (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

23 მაისს ქალაქ თბილისში, გათენებამდის მენშევიკებმა ყველა ქუჩაზე გამოაკრეს და გაავრცელეს ეროვნული და სოციალისტური პარტიების მოწოდებები, მათ შორის - სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება და ერთი საერთო მოწოდება (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), სახელწოდებით „ქართველ ერს“, რომელსაც ხელს აწერდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული და რადიკალ-დემოკრატიული პარტიები), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია და საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1305). ყველა მოწოდებაში აღნიშნული იყო საქართველოს განთავისუფლებისა და თავისუფლების ბედნიერი მომენტები, დემოკრატიულ საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების ინტერვენციის, ქვეყნის ოკუპაციის, გასაბჭოებისა და ფაქტობრივი ანექსიის ამსახველი ტრაგიკული ფაქტები, დაგმობილნი იყვნენ რუსი მოძალადეები, მოღალატე ქართველი ბოლშევიკები, მოცემული იყო სამხედრო ოკუპაციითა და ანექსიით შექმნილი საქართველოსა და ქართველი ხალხის მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღნიშნული იყო 26 მაისის დღესასწაულის დიდი მნიშვნელობა და მოცემული იყო ოკუპაციის მოხსნის, საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენის მოთხოვნა. მოწოდებებში ხაზგასმული იყო ქართველ ერში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს განთავისუფლებამდე ვერაგი და საძულველი მტრის წინააღმდეგ ეროვნული ბრძოლის სულისკვეთების გაძლიერება; საქართველოს პოლიტიკური პარტიების ერთობლივ მოწოდებაში („ქართველ ერს“) კი, კერძოდ, ნათქვამი იყო (სტილი დაცულია):

„26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქართველი ერი სამი წლის განმავლობაში დიდის კრძალვით და მოწიწებით დღესასწაულობდა.

ერი ზეიმობდა ეროვნულ ჩაგვრისაგან განთავისუფლებას და თავის სუვერენობის აღდგენას, ერი კმაყოფილი იყო მით, რომ ეროვნულ ხომალდს თვით მესაჭეობდა.

ამ დღეს საქართველოს მზე ანათებდა და ათბობდა.

დღეს საქართველო მგლოვიარეა.

ბოლშევიკური თვითმპყრობელები შემოესია საქართველოს. ქართველ ერს კვლავ ძველი ხიშტი, ძველი მჩაგვრელი მოევლინა. ეროვნული წმინდათაწმინდა შეირყვნა და წაიბილწა, საქართველოს მიწა-წყალზე ეს ხიშტი ძველებურად პარპაშებს, და მას მხარს უმშვენებენ ქართველი მოღალატენი. არ დარჩა საქართველოში ოჯახი, რომ გმინვა არ ისმოდეს. საქართველოს ტერიტორია დაქუცმაცდა და ფეშქაშად გაიცა, საქართველოს სიმდიდრე მოსკოვს გაიზიდა. აიკვეთა ყოველგვარი სამოქალაქო თავისუფლება.

ნაძირალებს და გადამთიელებს გადაეცა ქვეყნის გამგებლობა. დამშეული ქართველი ხალხის სახლ-კარიდან ეზიდებიან უკანასკნელ სარჩოს. საქართველოს საუკეთესო შვილები ციხეებში გამომწყვდეულნი სიცოცხლეს ესალმებიან.

ნუთუ ერს მარტო გლოვა მართებს. ნუთუ ქართველი ხმლის მოძალადეებს დაუთმოთ ჩვენი ტურფა ქვეყანა, ჩვენი მომავალი.

საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ ევროპის ყველა წრეებში დიდი თანაგრძნობა და გამოძახილი მოიპოვა. საქართველოს ოკუპაცია უსაშინლეს გულისწყრომას იწვევს

ევროპა-ამერიკაში.

მაგრამ საქართველოს განთავისუფლებისათვის გადამჭრელი სიტყვა მაინც ქართველ ხალხს ეკუთვნის.

ერი არ შეიძლება შედრკეს, გატყდეს, ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს. ის მტკიცე და

შეურყეველია დამპყრობელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

შორს, ქართველი ხალხისაგან მოძალადეთა უღელი.

ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს. დაე, ამ ბრძოლაში მამა დაეცეს, მისი ადგილი შვილმა დაიკავოს. ძმა დაიღუპოს, ძმამ შესცვალოს, მეგობარი - მეგობარმა, ამხანაგი - ამხანაგმა...და ასე განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებამდის.

ქართველი ერი დღეს გლოვობს, მაგრამ არ სტირის, ის ვაჟკაცური თავგამოდებით სდგას ეროვნულ სადარაჯოზე და უცდის იმ დროს, როდესაც ის თავის დიად 26 მაისს კვლავ თავისუფლად და ზეიმით იდღესასწაულებს.

დღეს, მთელი ქართველი ერი, ერთსულოვანი, მსოფლიოს წინაშე აცხადებს: ქართველი ხალხი მთელ თავის ძალღონეს მიიტანს საქართველოს განთავისუფლების სამსხვერპლოზე. ის იბრძოლებს მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხის უფლებები.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს.

გაუმარჯოს 26 მაისს განთავისუფლებულ სამშობლოში.

ძირს მოძალადენი, ზიზღი მოღალატეებს“ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1305).

1922 წლის 23 მაისს სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა (წითელარმიელთა, - ე. ნ.) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანება №5, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამით საყოველთაოდ ვაცხადებთ, თანახმად აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლოს დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის დღესასწაულის უქმე დღე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე, როდესაც განთავისუფლდა საქართველო“.

ბრძანებას ხელს აწერდნენ: აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და მდივანი თ. კალანდაძე (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ასე გამოცხადდა რუსეთის წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების დღე დამოუკიდებლობის თარიღად...

ამრიგად, ბოლშევიკებს არც კი უფიქრიათ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა 1922 წლის 26 მაისს: თუ ერთი წლით ადრე საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყო 26 მაისი, უკვე 1922 წელს გამოცხადდა, რომ 26 მაისი არ არის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის დღე და 25 თებერვალი უნდა აღინიშნოს, როგორც დამოუკიდებლობის დღე. 26 მაისის ღონისძიებები კი ოფიციალურად აიკრძალა (ერთი წლით ადრე კი, 1921 წლის 26 მაისს, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საბჭოთა

სტილისტიკით აღნიშნა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი და დაგეგმილი „საზეიმო“ ღონისძიებები)...

1922 წლის 23 მაისის (ე. ნ.) ბრძანებას მოჰყვა საგანგებო სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება.

ამ ბრძანების შემდეგ დედაქალაქი პირდაპირ სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. 23 მაისის საღამოდან ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები და სტრატეგიული ადგილები რუსის ჯარმა დაიკავა. ქუჩებში გაძლიერებული ცხენოსანი და ქვეითი პატრულები ჩადგნენ. ქალაქში გამოცხადდა კომუნისტების მობილიზაცია. ქართული ჯარი ყაზარმებში ჩაკეტეს და გარეთ გამოსვლა აუკრძალეს. ამავე ღამეს გავრცელდა საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოში მცხოვრებ რუსთა კომიტეტის პროკლამაცია-ფურცლები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

23 მაისს საქართველოს „საგანგებო კომისიამ“ (რუს. „ЧК“-„Чрезвычайная Комиссия“, - ე. ნ.) მიიღო ზუსტი ცნობები, რომ მენშევიკებმა, რომლებიც გაერთიანდნენ სხვა მემარჯვენე პარტიებთან, სამღვდელოების ჩათვლით, გამოაცხადეს გამოსვლა და გაფიცვა 24, 25 და 26 მაისისათვის. საქართველოს „საგანგებო კომისია“ კი ემზადებოდა 17-დან.

23 მაისს საქართველოს რკინიგზის ხაზზე მოხდა მუშა-მოსამსახურეთა მძლავრი მღელვარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის გამოსვლასთან დაკავშირებით (სრშსსა, პარტიული არქივი, 13 : 26-27).

23 მაისს, ღამით, თბილისში, გამოაკრეს და გაავრცელეს ბევრი პროკლამაცია-ფურცლები და გამოკიდეს შავი დროშები. პროკლამაციებში მოთხოვნილი იყო: რუსის ჯარის გაყვანა, კომუნისტების დიქტატურის მოსპობა, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს აღდგენა, პოლიტიკური პატიმრების დაუყოვნებლივი განთავისუფლება, სამხედრო დიქტატურის მოხსნა, სოფლებში დამსჯელი რაზმების მოქმედების შეჩერება, ქართველი ოფიცრების დევნის დაუყოვნებლივი შეწყვეტა და სხვ.

ღამით გრძელდებოდა ანტისაბჭოთა პარტიების აქტიურ წევრთა დაპატიმრება. რკინიგზაზე მომუშავე მენშევიკები შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ საყვირი და შეეწყვიტათ სამუშაო (სრშსსა, პარტიული არქივი, 13 : 26).

ამავე ღამით ქალაქში გავრცელდა საქართველოში მცხოვრები რუსების კომიტეტის მოწოდება რუსულ ენაზე, სახელწოდებით „26 мая“ („26 მაისი“), რომელშიც წარმოჩენილი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დემოკრატიული მთავრობის მიერ რუსებისათვის, როგორც საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისათვის, მინიჭებული დემოკრატიული უფლებები, რუსთა მიერ შექმნილი დემოკრატიული ეროვნული ინსტიტუტები; აღნიშნული იყო ამ მხრივ ოკუპირებულ საბჭოთა საქართველოში მათთვის შექმნილი მეტად მძიმე და სავალალო მდგომარეობა, ხაზგასმული იყო 26 მაისის დღესასწაულისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) აღდგენის დიდი მნიშვნელობა და განვითარებული იყო საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის, მათ შორის რუსების, ქართველი ხალხისადმი თანადგომისა და მასთან ერთად ბრძოლის სულისკვეთება. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია (სტილი დაცულია):

„საქართველო კვლავ დღესასწაულობს 26 მაისს!

მაგრამ რა სამწუხაროა ამხანათ ეს სახალხო დღესასწაული! როგორ შეიძლება იდღესასწაულო თავისუფლების დღე მონობაში?! როგორ უნდა გაიხარო მაშინ, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს მხოლოდ დამოუკიდებლობის მტრებს შეუძლიათ გამოხატონ თავისუფლად თავისი ნებისყოფა, ხოლო დემოკრატიისათვის მებრძოლნი ციხეებში იტანჯებიან და ხალხის მეთაურნი ამ დღეს დევნილნი არიან სამშობლოდან.

დღეს კი დღესასწაულითა დროებით დაკარგულ თავისუფლების მოგონების, დღესასწაულითა მომავალი განთავისუფლების იმედით, ვინაიდან ის აუცილებლად უნდა მოხდეს (მიკროფირში ასეა ქართულ თარგმანში. უნდა იყოს: „დღეს კი დღესასწაულს დროებით დაკარგული თავისუფლების მოგონებით, ვდღესასწაულობთ მომავალი განთავისუფლების იმედით, ვინაიდან ის აუცილებლად უნდა მოხდეს“, - ე. ნ.). ვინაიდან არ არის ისეთი ბორკილი, რომელიც ხალხმა არ გასწყვიტოს. არ არის ისეთი ციხე, რომელმაც კედლებში შეაკავოს ხალხი, რომელსაც მისი გარღვევა უნდა. არ არის ისეთი ხელისუფლება, რომელსაც შეეძლოს მმართველობა - მხოლოდ უცხო შეიარაღებული ძალების ხიშტებზე დაყრდნობით.

აი, ამ რწმენით, აუცილებელი განთავისუფლებისა და მოძალადეთა და დამმონავებელთა სამარცხვინო დაღუპვის იმედით ცოცხლობს დღეს საქართველოს ყველა ხალხიც. მით ვცოცხლობთ ჩვენც - რუსები, რომელთა მამებმა და შვილებმა განვიცადეთ სამი წლის თავისუფლება. ვიპოვეთ საქართველოში თავშესაფარი და ქართველ ხალხთან ერთად განვიცადეთ სამი წლის თავისუფლება. ახლა ჩვენც, როგორც ქართველები, დამონავებული ვართ, მოტყუებული ჩვენი თანამემამულეთა ხიშტებით.

3 წელი ვცხოვრობდით დამოუკიდებელ საქართველოში: გვესმოდა, თუ როგორ გაჰკიოდნენ ბოლშევიკები, ვითომდა ჩვენ გვჩაგრავდნენ ქართველები, ამავე სიცრუეს ავრცელებენ (ავრცელებდნენ, - ე. ნ.) დენიკინელებიც, მაგრამ ჩვენ არ ვგრძნობთ (ვგრძნობდით, - ე. ნ.) ამ შევიწროებას და ჩაგვრას აქ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში. ჩვენ, რუს მოსახლეებს, საქართველომ მიანიჭა სრული თვითმმართველობის უფლება. მიანიჭა თავისუფლება სიტყვის, კრებისა, ბეჭდვისა, ორგანიზაციის, კრებების თავისუფლება, რომლის შესახებ ჩვენ ახლა ოცნებაც კი არ შეგვიძლია. ჩვენ შვილებს საქართველომ მისცა რუსული სკოლა. საქართველოს მთავრობასთან ყველა ჩვენი საქმეების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩვენ მიერ არჩეული ნაციონალური საბჭო, რომელიც ეხლა გარეკილია. სად იყო ის ნაციონალური დევნა, რომელსაც ვითომდა ჩვენ განვიცდიდით ბოლშევიკების და მათი ძმების ბ. ბ. დენიკინელების მტკიცებით? - დემოკრატიულ საქართველოში ჩვენ ეს დევნა რა იყო არ ვიცოდით. ეხლა კი ჩვენთვის არის მხოლოდ ერთი კანონი - მუშტი და ხიშტი ბოლშევიკური კომისრების, ეხლა ჩვენ გვაქვს ერთი თავისუფლება - თავისუფლება სიმშილით სიკვდილის, ეხლა ჩვენ გვაქვს ცხოვრებაში ერთი იმედი - იმედი ბოლშევიკების ჩამოგდების და საქართველოს განთავისუფლების. ეხლა ჩვენ გვაქვს ერთი გზა საქართველოს ყველა ხალხებთან ერთად დამმონავებელთა წინააღმდეგ, რომელნიც ატარებდნენ ხალხის მეგობრების ნიღაბს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ბოროტათ ფიცულობდნენ სოციალიზმის სახელს და ხალხისათვის მოაქვთ სიმშილით სიკვდილი, ციხე და დახვრეტა.

საქართველოს ყველა ხალხნო გაერთიანდით მათთან საბრძოლველად!

ყველა ხალხო იარეთ საქართველოს განთავისუფლების დროშის ქვეშ და საქვეყნოდ ყველას გასაგონად განაცხადეთ:

გაუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს!

გაუმარჯოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს - 26 მაისს!

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას ბოლშევიკური უღლისაგან განთავისუფლებულ საქართველოში!

ძირს ბოლშევიკურიო კუპაცია!

ძირს ძალა - უფლება, რომელიც მხოლოდ მოტყუებული და დამონავებული ჯარისკაცთა

ხიშტებზე ეყრდნობა!“ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

თბილისში, 24 მაისს, გათენებამდის ტრამვაის (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) დეპოს სახელოსნო, ელექტროსადგურები, ნავთლუღ-კახეთის (სცსსა, ჰარვარდის

მიკროფირები, 1313 ა), რკინიგზის (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) მთავარი დეპო-სახელოსნოს ყველა ადგილები და აგრეთვე ციხეები რუსის ჯარებმა დაიკავეს ტყვიამფრქვევებით. მილიცია, ჯარისკაცები და კომუნისტები მაუზერ-ვინტოვკების გარდა შეიარაღებულნი იყვნენ ბომბებით. ქალაქის განაპირა ადგილები გაამაგრეს ზარბაზნებით, ჯავშნიანი ავტომობილებით. ზარბაზნები კი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ქალაქის ქართულ რაიონებს დაუმიზნეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ჯავშნიანმა მატარებლებმა კი დაიკავეს თბილისის ხაზი, ხოლო ერთი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ჯავშნიანი მატარებელი მთავარი დეპოს პირდაპირ გააჩერეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). სადგურს, სახელოსნოს, დეპოს ალყა შემოარტყეს. არავის არ უშვებდნენ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), სადგურში ხალხს აპატიმრებდნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). სახელოსნო-დეპოში დააპატიმრეს რამდენიმე ათეული მუშა. ქუჩებში კი ცხენოსნები მათრახებით სცემდნენ ხალხს. აპატიმრებდნენ ყველას. ქართული ჯარები კი თავიანთ ყაზარმებში ალყაშემორტყმული იყვნენ. ისინი იქ მღელვარებამ მოიცვა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). თბილისის ქუჩებში გამოიყვანეს ჯავშნიანი ავტომობილები, ხოლო აეროპლანები მთელი დღეები ქალაქს თავზე დასტრიალებდნენ (თავისუფალი საქართველო, 1922 : 3). მთელ თბილისში ქალაქი „გაიჟღინთა“ საშიში მდგომარეობით. რუსის ჯარს ნაბრძანევი ჰქონდა უკიდურესი ზომების მიღება. ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლა ძნელი იყო. ხიდები, ბაღები - ყოველივე „შეკრეს“. ყველგან ძმათა სასაფლაოებზე დილიდანვე გაძლიერებული პატრულები დააყენეს. 9-10 საათიდან (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) თბილისის ქუჩები გამოცოცხლდა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ეკლესიებზე გაისმა ზარების რეკვის (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), სხვადასხვა ქარხნებში, არსენალში კი - საყვირების ხმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6); მთავარ სახელოსნო-დეპოში კი საყვირები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) წინაღამეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) დაიკავეს რუსის და „ჩეკის“ რაზმებმა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მუშათა ჯგუფი შეეცადა საყვირის ხელში ჩაგდებას (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მთავარ სახელოსნო-დეპოში საყვირთან (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) გაიმართა ხელჩართული ბრძოლა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მუშები შეესივნენ საყვირს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). რამდენიმე მუშა დაშავდა, ხოლო 25 მუშა იქვე დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მთელი მთავარი სახელოსნო, დეპო, სადგური ალყაშემორტყმული იყო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), კარები - ჩაკეტილი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), შიგნით და გარეთ ჯარი იდგა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მემანქანეებს, მეისრეებს, ტექნიკურ თანამშრომლებს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), კონდუქტორებს და სხვ. (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ყველას თავზე წითელარმიელები და „ჩეკისტები“ ადგნენ. სცემდნენ ყველას, ვისზედაც რაიმე ეჭვს მიიტანდნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მოიყვანეს ჯარისკაცები, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ ესროლათ გაუფრთხილებლად მუშებისათვის, თუკი ვინმე გაბედავდა რამეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

არსენალის მუშებმა საყვირის (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) და ზარების რეკვის ხმაზე მუშაობა შეწყვიტეს. ეზოში გამართეს სახალხო მიტინგი, რის შემდეგ გამოაცხადეს გაფიცვა, კარები ძალით გააღეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), გაარღვიეს დარაჯთა რკალი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) და სახალხო მანიფესტაციის (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ადგილისაკენ გაეშურნენ, მაგრამ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ჯარმა ისინი გზაში გაფანტა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), ბევრი დააპატიმრეს. ავლაბარში დუქნები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) და (ე. ნ.) ბაზარი დაიკეტა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), ხალხმა მოედანზე იწყო თავის მოყრა, მაგრამ ცხენოსანმა ჯარმა ისინი გაფანტა და ბევრი დააპატიმრა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ავლაბარში ყველგან შეწყდა მუშაობა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა);

ნავთლუღში, რკინიგზის ყველა დარგებში, ქარხნებში (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) და ქალაქის სამრეწველო დაწესებულებებში (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) დილიდანვე შეწყდა მუშაობა. გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), რომელსაც დაესწრნენ რამდენიმე ათასი მუშა და მოქალაქეები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), რის შემდეგ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) სახალხო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მანიფესტაცია გაემართა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ქალაქ თბილისის ცენტრისაკენ ეროვნული და შავი დროშებით, ეროვნული სიმღერებით (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მანიფესტაციას არამიანცის საავადმყოფოსთან რუსის ცხენოსანმა ჯარმა და ჯავშნიანმა ავტომობილმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) 12 საათზე (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) გზა გადაუჭრა და ხალხი გაფანტა. რამდენიმე ათეული მანიფესტანტი დააპატიმრეს. დაშლილი დემონსტრაცია (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ჯგუფებად (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) გაემართა ძმათა სასაფლაოსაკენ; ორთაჭალაში, მოედანზე, ხალხმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) დილიდანვე დაიწყო თავმოყრა. ადელხანოვის, ტოლეს ქარხნებში და სხვა დაწესებულებებში მუშაობა შეჩერდა 9 საათიდან (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ადელხანოვის, ტოლეს და სხვ. ქარხნებში, კომუნისტების გარდა, ყველამ მიატოვა სამუშაო, ბაზარი დაიკეტა. მიტინგს მოაწყდა დიდძალი არაქართველი მოსახლეობაც: თათრები, სპარსელები, სომხები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). გაისმოდა შეძახილები - „გაუმარჯოს საქართველოს!“ 11 საათზე (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) აქაც ასწიეს ეროვნული და შავი დროშები, ილაპარაკეს ორატორებმა. ამის შემდეგ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მანიფესტაცია გაემართა მეტეხისაკენ. ხიდამდის კიდეც მიაღწია, მაგრამ აქ ცხენოსანმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ჯარმა მას გზა გადაუჭრა და შეაჩერა. ხალხს კონდახებით, მათრახებით, ხმლებით დაერივნენ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ატეხეს სროლაც. მრავალი მოქალაქე (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), მუშა დააპატიმრეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). რამდენიმე კაცი მძიმედ ნაცემი და დასახიჩრებული აღმოჩნდა. ერთი ხელოსანი იქვე გარდაიცვალა. რიყეზე ადგილობრივი სომხები და სხვები შეეცადნენ თავი მოეყარათ და საერთო მანიფესტაციას შეერთებოდნენ, მაგრამ მათ ჯარმა ალყა შემოარტყა და ცემა-ტყეპით გარეკა.

ზუსტად 11 საათზე ყველა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) სახელმწიფო (ე. ნ.) დაწესებულებაში მუშაობა შეჩერდა. არცერთი ქართველი სამსახურში არ დარჩენილა. მრავალი უცხოელიც გამოჰყვა ქართველებს. მხოლოდ ზოგ ადგილას (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ჯარებმა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მოსამსახურეები ძალით „ჩაამწყვდიეს“ და გარეთ არ გამოუშვეს, მაგრამ იქაც (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ე. ნ.), მუშაობა არ ყოფილა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). (მაგ., საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მოსამსახურე ქალებს „ჩეკისტები“ თავზე ადგნენ და ისე ამუშავებდნენ) (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4)). სახელმწიფო დაწესებულებებიდან ბევრი პასუხისმგებელი კომუნისტი დილაადრიან წავიდა სამსახურიდან, ვითომცდა „ავადმყოფობის“ გამო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მმართველობის დაწესებულებებში, აგრეთვე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში უმცირესობა (კომუნისტები, - ე. ნ.) არ გავიდა სამუშაოზე (სრშსსა, პარტიული არქივი, 13 : 26). ბაზრის დიდი ნაწილი: ავლაბარი, ორთაჭალის, თათრის და სომხის ბაზრები, ნაძალადევი დაიკეტა. დაკეტილი იყო ცენტრშიც მრავალი სავაჭრო დაწესებულება: საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი, კოოპერატივებიც. ავჭალაში გაიფიცნენ წყალსადენის სხვადასხვა წარმოების მუშები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

როგორც სხვაგან, ისე (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ვერის რაიონს დილიდანვე დაეტყო გამოცოცხლება. სახელმწიფო უნივერსიტეტზე ფრიალებდნენ

ეროვნული და შავი დროშები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). 1922 წლის 24 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, როცა მათ ეროვნული დროშა ააფრიალეს, მთავრობამ ჯარი მიუსია, რომელთაც უნივერსიტეტს ალყა შემოარტყეს. ამ დროს უნივერსიტეტში რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი შემოვიდა და იკითხა, რა ხდებოდა. „რუსულად ილაპარაკე!“, იყო რუსი ჯარისკაცების პასუხი. ივანე ჯავახიშვილი და პროფესორი ანდრია რაზმაძე დააპატიმრეს, მაგრამ ორივე მალე გაათავისუფლეს (გლსქლსმ, 025995 : 95).

ქუჩებში ჯარი და „ჩეკისტები“ იყვნენ ჩამდგარი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ცენტრალურ ქუჩებზე დადიოდნენ ცხენოსნები და ავტომობილებით შეიარაღებული რაზმები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ამის მიუხედავად, ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, ვერის დაღმართის (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) მოედანთან იწყო დენა. დილის 10 საათზე უკვე რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი, მათ შორის 3000-ზე მეტი სტუდენტობა და მოსწავლეები იყვნენ. მათი დაშლა ვერ მოახერხეს. 11 საათზე (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), როცა ზარების რეკვის ხმა გაისმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), მიტინგს გარს შემოერტყნენ ცხენოსანი რაზმები, რომლებიც ქვეითი რაზმების დასახმარებლად მოვიდნენ. მიტინგი სამ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი გაემართა ნიკოლოზის (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ეკლესიისკენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ეროვნული დროშით (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და სიმღერებით (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), „დიდების“ სიმღერით, იქიდან კი ოლღას ქუჩისაკენ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ნიკოლოზის ეკლესიასთან (ე. ნ.) შეეცადნენ მანიფესტაციის დაშლას, მაგრამ ამაოდ. გაისმოდა ხმები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6): „გაუმარჯოს საქართველოს!“..., „გაუმარჯოს 26 მაისს!“..., „ძირს მოღალატენი, ოკუპანტები!“..., „ზიზღი ერის გამყიდველებს!“... და სხვ. გზადაგზა დემონსტრანტები ჯოხებით სცემდნენ „ჩეკისტებს“ და კომუნისტებს. ოლღას ქუჩიდან დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს. ცხენოსანი ჯარი შეიჭრა ხალხში დროშების წასართმევად (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ოლღას ქუჩაზე გაიმართა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), სროლა, კონდახების და მათრახების ცემა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მშვიდობიან ხალხს დაერივნენ ჯარი და „ჩეკისტები“ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), ორი საათის ბრძოლის შემდეგ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მანიფესტაცია გაფანტეს, ორასზე მეტი დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ისინი (ე. ნ.) შერეკეს სამხედრო გარაჟში, სადაც დილიდანვე გარაჟის მუშები იყვნენ შიგნით დამწყვდეულნი, რომლებიც „ვაშას“ ძახილით შეეგებნენ მანიფესტანტებს. მძიმედ დაშავდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) 27-მდე ქალიშვილი და ვაჟი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

12 საათამდე მთელი თბილისი მოიცვა მღელვარებამ და არეულობამ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

შუადღის სამ საათზე ყველგან იყო ჯარების ველური თარეში. მიჰყავდათ დაპატიმრებულნი. რკინიგზის „ჩეკა“, მთავარი „ჩეკა“ და (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მილიციის ყველა უბნები სავსე იყო დაპატიმრებულებით. „ჩეკებში“ ხალხი არ ეტეოდა და კერძო დაწესებულებებში და ეზოებში შეყარეს. აქ ყველგან გაისმოდა „დიდება“. ქუჩებში არავის აჩერებდნენ. თუ ვინმე არ მოეწონებოდათ, მაშინვე იჭერდნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). გაიცა ბრძანება: „თუ სადმე სამი კაცი ერთად შენიშნოთ და პირველ ბრძანებას არ დაემორჩილონ, ესროლეთ“-ო. ეკლესიები ყველგან დაკეტეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და ყარაულები მიუჩინეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დააპატიმრეს 7 მღვდელი და ეკლესიის ბევრი მსახური ზარების რეკვის გამო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ეკლესიებში მილიციონერები ჩააყენეს და აკრძალეს ზარების რეკვა. რუსული ეკლესიის მღვდელს დაჭერითაც კი დაემუქრნენ (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). ხელისუფლებისადმი (ე. ნ.) განსაკუთრებულ ერთგულებას და

(სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ამასთან (ე. ნ.) სიმკაცრეს იჩენდნენ უამრავი სომეხი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ეროვნების (ე. ნ.) „ჩეკისტები“ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ელექტროსადგურები, რკინიგზის სადგურები და დეპო დაიკავეს ჯარებმა და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილეს. თბილისის ყველა ციხეში აიკრძალა სურსათის მიწოდება. შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა. საღამოს მთელი ქალაქი ჯარით გაივსო. ქალაქი დაკეტილი იყო. ქუჩებში ხალხი აღარ ჩანდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ყველგან რუსის პატრულები იდგნენ. ყაზარმებში ჩამწყვდეულ ქართულ ჯარს მღელვარება დაეტყო (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). (ბოლშევიკებმა 3-4 დღით ადრე, ქართულ ჯარს, როგორც არასაიმედოს, იარაღი ჩამოართვეს და ყაზარმებში ჩაკეტეს, რუსულ წითელ არმიას კი ბრძანება გაუგზავნეს, რომ „მზად ყოფილიყვნენ ომისათვის“) (თავისუფალი საქართველო, 1922 : 3)). „დამწყვდეულ“ ქართული ჯარის ნაწილებში პასუხისმგებელმა კომუნისტებმა ჩამოიარეს და ამშვიდებდნენ აღელვებულ ქართველ ჯარისკაცებს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

ღამით მთაწმინდის, არსენალის გორებზე და ნავთლუღის მიდამოებში ზარბაზნები დადგეს, სანგრები გათხარეს, რუსული სამხედრო ნაწილები ქალაქგარეთ გაიყვანეს. „კავკასიის არმიის“ შტაბმა ღამით (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) პირდაპირი მავთულით (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მოსკოვს აცნობა, რომ საქართველოში აჯანყება იწყებოდა. ღამით გაგრძელდა მასიური ჩხრეკა-დაპატიმრება (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დეპო-სახელოსნოში კიდევ დაიჭირეს 80-მდე მუშა. ყველგან და თვით „ჩეკა“-ს ეზოებში, რომლებიც აივსნენ პატიმრებით, ისმოდა სიმღერები „დიდება“ და „სამშობლო“ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

პროვინციებში (ე. ნ.), რკინიგზაზე, 24 მაისს დილიდანვე დაიწყო მღელვარება. მთავარ ცენტრებში: გურჯაან-კახეთის გზაზე, ხაშურში (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და სხვ., დეპოს სახელოსნოს და ხაზის მუშებმა საყვირისა და ზარების რეკვის ხმაზე მიატოვეს სამუშაო და ყველგან შეუერთდნენ ხალხს ეროვნული და შავი დროშებით. მთავარი ცენტრების მოძრაობას შეუერთდნენ გზის დანარჩენი დარგები და პატარა სადგურები. ბადიაურში, გურჯაანში გაიმართა სახალხო მიტინგები. თელავიდან გაფიცვის გამო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) თბილისში (ე. ნ.) მატარებელი ვეღარ ჩამოვიდა. წნორიდან მატარებელი მოიყვანეს „ჩეკა“-ს და რუსის ჯარებმა, რის შემდეგ თელავის გზის გახსნას შეუდგნენ. მთელი კახეთის რკინიგზაზე მუშები შეუერთდნენ სახალხო მიტინგებს. მიტინგები ყველგან შეიარაღებული ძალებით იქნა დაშლილი. დააპატიმრეს მრავალი მუშა-მოხელე, გზების მემანქანე (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

1922 წლის 25 მაისს, სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა მიმართვა ქართველი ხალხისადმი, სახელწოდებით „ქართველ ერს“, რომელშიც გაანალიზებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დაგმობილნი იყვნენ ქართველი მოღალატეები, რუსი მოძალადეები და მოცემული იყო მთელ ქართველ ერთან ერთად საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაბმული, ერის ბედზე მოფიქრალი, პატრიოტი ქართველი ახალგაზრდობის მიერ საქართველოს განთავისუფლებამდე ვერაგი და საძულველი მტრის

წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის გამოხატული ურყევი ნება და მტკიცე გადაწყვეტილება:

„სამი წლის განმავლობაში მთელი ქართველი ერი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ზეიმით დღესასწაულობდა 26 მაისს - რუსეთის ანარქიისაგან და პოლიტიკური მონობისაგან განთავისუფლების დღეს.

14 თვეა მას შემდეგ, რაც „სოციალისტურ“ ქურქში გახვეულმა მოსკოვის წითელმა იმპერიალიზმმა თავისი ურდოები შემოუსია ჩვენს თავისუფალ ქვეყანას და უსწორო ბრძოლაში ის უხეში ძალით დაიპყრო. 14 თვეა, რაც საქართველოს მიწა-წყალზე დათარეშობენ ნაძირალები და გადამთიელები და მის სიმდიდრეს, ავლადიდებას ანიავებენ - მოსკოვში მიეზიდებიან. ქართველი ერი უფლება აყრილია; საქართველო ერთ დიდ საპყრობილეთ არის გადაქცეული და მთელი ქართველი ერი კანონს გარეშეა გამოცხადებული, გარდა ერთი მუჭა მოღალატეებისა, რომლებიც მოსკოვის ველური იმპერიალიზმის ფრთებქვეშ არიან მოფარებულნი.

ერის საუკეთესო შვილნი იტანჯებიან და სულს ღაფავენ ციხეებში და „ჩეკას“ ბნელ სარდაფებში, რომლებიც „სოციალისტურ“ ქვეყანაში უმთავრესად სოციალისტებისთვის არის მიჩნეული.

ბევრმა უკვე დალია სული საშინელ ტანჯვა-წამებაში და ჩვენ ანდერძათ დაგვიტოვა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის.

დღეს, როდესაც ქართველი ერის სულს დაპატრონებია უცხო დამპყრობი ძალა, რომელმაც შეაგინა წმიდათაწმიდა და მას მონობის უღელი დაადგა, საქართველოს სამრეკლოზე გლოვის ზარი ირეკება...საქართველო გლოვის ძაძაშია გახვეული...მაგრამ ქართველმა იცის სიმტკიცე და სიმაგრე, როგორც ჭირში, ისე ლხინში. მას მრავალი მძიმე და საბედისწერო წუთები ჰქონდა, მარა ბრძოლა თავისუფლებისათვის არასოდეს არ შეუწყვეტია და ის მუდამ მედგრად უწარმოებია.

დღესაც მტკიცე და შეუდრეკელია ქართველი ერის გადაწყვეტილება - აწარმოოს უდრეკი და შეუპოვარი ბრძოლა საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ჩვენ, ახალგაზრდები, მთელი ქართველი ერის წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ არასოდეს არ შევურიგდებით არცერთი ფერის იმპერიალიზმს, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიწამებთ რომის პაპის და მეფის მუცლის წინაშე მცოცავ „ნავთის სოციალისტებს“.

ჩვენ მტკიცე და შეურყეველ ბრძოლას ვაწარმოებთ მთელ ქართველ ერთან (ერთად, - ე. ნ.) ოკუპანტების წინააღმდეგ, რადგან ჩვენ გვწამს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის, მისი დამოუკიდებლობისთვის, იმავ დროს არის ბრძოლა სოციალიზმისთვის.

გამხნევებული საერთაშორისო პროლეტარიატის და დემოკრატიის მორალური დახმარებით და თანაგრძნობით, ჩვენ ფიცს ვსდებთ იმ გმირთა საფლავების წინაშე, რომლებიც თავის გულით და მკერდით იცავდნენ ჩვენს ქვეყანას ვერაგი მტრისაგან, რომ ჩვენ უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მის სრულ გამარჯვებამდე.

დეე, იცოდეს საოკუპაციო ლაშქრის მიერ დაყენებულმა მთავრობამ, რომ ქართველი ერის და მისი ახალგაზრდობის ცოცხალ სულს, ნებისყოფას ვერ გასტეხს ვერავითარი რეპრესია, ციხე და„ჩეკა“-ს ბნელი სარდაფები.

დეე, იცოდნენ მოღალატეებმა, რომ მათი განკითხვის ჟამი მოახლოვებულია და ქართველი ერის თავისუფლად გამოხატული ნებისყოფა მას გამოუტანს სასიკვდილო განაჩენს.

გაუმარჯოს 26 მაისს.

გაუმარჯოს ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

გაუმარჯოს ჭეშმარიტ სოციალიზმს.

ძირს დამპყრობლები.

ზიზღი მოღალატეებს“ (სტილი დაცულია), (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ბ)).

თბილისში (ე. ნ.), 25 მაისს, დილით გამოვიდა კომუნისტური პარტიის სააგიტაციო განყოფილების მოწოდება რუსულ ენაზე, რომელშიც წითელარმიელებს, მუშებს და გლეხებს მოუწოდებდნენ „კონტრრევოლუციურ“ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიეღოთ.

დილიდანვე გამოვიდა ბრძანება, რომ ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც გააგრძელებდნენ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, სასტიკად დაისჯებოდნენ, მათ შორის - დახვრეტით. ყოველგვარი მუქარისა და უსასტიკესი ზომების მიუხედავად, ხალხის სულისკვეთება სრულიადაც არ შერყეულა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). გაფიცვა გაგრძელდა. მთელი დღე ქუჩებში აპატიმრებდნენ ხალხს. მრავალ მაღაზიას და დუქანს დაადეს ბეჭედი და გამოაცხადეს მათი კონფისკაცია (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). ქალაქში მთელი დღე იყო საალყო წესების მდგომარეობა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

26 მაისს ქალაქ თბილისში მდგომარეობა საალყო წესებით სრულიად უცვლელი იყო, მუშაობა ყველგან შეჩერებული (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). გაფიცვა გაგრძელდა. ქართველები სამუშაოზე არ გამოცხადდნენ, ბევრგან - უცხოელებიც (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დეპო-სახელოსნოში, ჯარების მოქმედების მიუხედავად, აღარ ჩანდნენ ქართველი მუშები. დილით გამოვიდა მეტეხის პოლიტიკური პატიმრების ვრცელი მიმართვა საქართველოსადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ჩვენ, საქართველოვ, 26 მაისს შენთან ვერ ვიქნებით მებრძოლთა რიგებში, მარა მეტეხი ცოცხლობს შენთვის და შენით“-ო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). გამოვიდა რუსთა კომიტეტის მეორე მოწოდება, რომ ქართველებთან ერთად ედღესასწაულათ 26 მაისი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დილიდანვე ყველა საეჭვო ადგილები, სადაც შეიძლებოდა რამე, „ჩეკისტებით“ და ჯარებით იყო დაკავებული. ქუჩებში ორი კაცის ერთად გავლა არ შეიძლებოდა. დილის 9 საათიდან მწვანე ბაზარში სხვადასხვა უბნებიდან იწყო ხალხმა თავმოყრა. ბაზარი დაკეტილი იყო. 11 საათამდე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგი გაიხსნა და ასწიეს ეროვნული დროშა, რასაც მოჰყვა საერთო აღფრთოვანება, ტაშისცემა და ძახილი - „გაუმარჯოს საქართველოს!“ ჯარმა პირდაპირ სროლა აუტეხა ტრიბუნაზე მყოფ ორატორს, მუშა სანდრო ფარნიევს, დროშას და იქ მყოფთ. დაიჭრა ერთი ქალი. „ჩეკისტები“ შეიჭრნენ ხალხში. გაიმართა ბრძოლა. პირველმა სროლამ ვერ შეაკრთო ახალგაზრდა მუშა მედროშე. მეორე ზალპის მიცემაზე გაისმა კივილი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), დაიწყო (ე. ნ.) არევ-დარევა და მიტინგი დაიშალა. ბაზარი „შეიკრა“. მრავალი დააპატიმრეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

ამავე დღეს „ჩეკა“-ში დაპატიმრებულებმა მიიღეს შემდეგი რეზოლუცია (სტილი დაცულია):

„ჩვენ, თავისუფლებას წართმეული და „ჩეკას“ სარდაფში (უნდა იყოს სარდაფებში, - ე. ნ.) ჩამწყვდეული პოლიტიკური ტუსაღები, განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა, რიცხვით 1000 კაცზე მეტი, საქართველოს დიადი ეროვნული დღესასწაულის, 26 მაისის დღეს, ვითვალისწინებთ რა, რომ რუსეთის ჯარების 15 თვის ბატონობამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, მოსპო მისი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, სრულიად დასცა საქართველო, - დააქუცმაცა ის ტერიტორიულად - გაანადგურა და უკიდურეს გაჭირვებამდის მიიყვანა - მთელ ქართველ ერთან და ჩეკა-ციხეებში ჩაყრილ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ძმებთან ერთად ვაცხადებთ: ჩვენ ყოველ პირობებში მზადა ვართ ვიბრძოლოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის მოძალადეთა წინააღმდეგ, მზად ვართ ჩვენი სიცოცხლე მივიტანოთ ჩვენი ქვეყნის დიადი საქმის სამსხვერპლოზე და ვუცხადებთ რა ზიზღს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ჯალათებს და ერის მოღალატეებს, ფიცსა ვსდებთ არ დავხაროთ ჩვენი წმინდა, მართალი საქმის დროშა საქართველოს სრულ განთავისუფლებამდის.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს..., გაუმარჯოს ქართველი ხალხის დიად

განმათავისუფლებელ ბრძოლას..., გაუმარჯოს ქართველ ერს..., გაუმარჯოს 26 მაისს...“ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

26 მაისს მთელ საქართველოში გამოაკრეს პროკლამაციები საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და საქართველოდან წითელი არმიის გაყვანის მოთხოვნით. პროკლამაციებს

ხელი მოაწერეს მენშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სხვა პარტიებმა. გარდა ამისა, რამდენიმე სადგურზე გამოკიდეს სამფეროვანი ქართული ეროვნული დროშები.

პუშკინის ქუჩის რაიონში, „სალდათის ბაზარზე“ (ე. წ. „დეზერტირების ბაზარი“, - ე. ნ.) მოეწყო დემონსტრაცია. დემონსტრანტების მიერ გამოკიდებულ იქნა შავი დროშა. დაპატიმრებულ იქნა 15 დემონსტრანტი (სრშსსა, პარტიული არქივი, 13 : 27, 29).

თბილისში, 1922 წლის 26 მაისის ამბების თვითმხილველისა და მონაწილის, შემდგომში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მაშინ 17 წლის ქალიშვილის, მარიამ აბრამიშვილის მოგონებით, 26 მაისს „ქუჩებში ხალხის სიმრავლეა, ყველა გარეთ გამოსულა...ხალხი კი არ დადის, დაფრინავს, ყველას რაღაც სასიხარულო იერი დაჰკრავს სახეზე. მწყობრად მოდიან „შევარდენი“ (სპორტული საზოგადოება, - ე. ნ.), უნივერსიტეტელები და უთვალავი ახალგაზრდობა.

მთავრობის სასახლის წინ აღმართულია ტრიბუნა. ზღვა ხალხში ჟღერს ფოცხვერაშვილის ქართული სახელმწიფო ეროვნული ჰიმნი „დიდება“, ერთმანეთს სცვლიან მჭექარე ორატორები, სად იყო სად არა, ფილიპე მახარაძეც გაჩნდა ტრიბუნაზე, მიულოცა ხალხს დიდი ეროვნული დღესასწაული და მათთან ერთად იმღერა „დიდება“.

ქუჩაში გაჩნდა პროკლამაციები, რომლითაც 21 წელს კოჯორში დაღუპული ახალგაზრდა ქართველი პატრიოტების სახელით მოუწოდებდნენ ყველა ქართველს ებრძოლათ იმავე საქმისათვის, რასაც ისინი შეეწირნენ და რაზეც კოჯრის სისხლით მორწყული მთები ღაღადებდნენ. ამ მთებიდან ისმოდა იქვე მთებში დაღუპული უმანკო ნორჩი მარო მაყაშვილის ამორძალური ხმაც და მრავალი ცრემლის მომგვრელი ამბები ეწერა...“ (აბრამიშვილი, 1996 : 3).

სისხამ დილით ხუთი ათასზე მეტმა პოლიტიკურმა პატიმარმა მეტეხის ციხის ეზოში მოიყარეს თავი. თითოეულ მათგანს მკერდზე დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ეკეთა. მათმა თანამებრძოლებმა ეს სამკერდე ნიშნები ციხეში არალეგალურად შემოაპარეს. გაოცებულ „ჩეკისტებს“, რომლებიც ეზოს გალავანთან იდგნენ, პოლიტიკურმა პატიმრებმა მარშით ჩაუარეს (https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) (ე. ნ.), მოხუცი ისიდორე რამიშვილი თავისი თანამებრძოლის მხრებზე დადგა და დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. იგი ლაპარაკობდა ქრისტესა და ფარისევლებზე, პრომეთეზე, აღდგომასა და ჯაჭვის გაწყვეტაზე. „სიკვდილის კომისრად“ წოდებული შულმანი, რომელიც ციხეს ზემოდან „დარაჯობდა“, რევოლვერით დაემუქრა რამიშვილს და მოითხოვა სასწრაფოდ შეეწყვიტა გამოსვლა. ისიდორეს უკან არ დაუხევია. იგი არც კომისრის იმ ახალმა ბრძანებამ შეაკრთო, რომლის მიხედვით „ჩეკისტებს“ ცეცხლი უნდა გაეხსნათ. რამიშვილმა სიტყვა ბოლომდე წარმოსთქვა, გაისმა ხუთი ათასი კაცის შემახილი. პოლიტიკურმა პატიმრებმა სახეგაბრწყინებულებმა იმღერეს „ინტერნაციონალი“ და საქართველოს ეროვნული ჰიმნი „დიდება“. გუნდს „დირიჟორობდა“ (https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) იოსებ ირემაშვილი (ე. ნ.). შულმანი მას მივარდა და დატენილი რევოლვერი ახლა უკვე მას დაუმიზნა. იოსებ ირემაშვილმა „სიკვდილის კომისარს“ თვალებში ჩახედა და „დირიჟორობა“ განაგრძო. შულმანმა რევოლვერი ბუდეში ჩადო. პოლიტიკური პატიმრების საბრძოლო სულისკვეთებამ და იმისმა შეგრძნებამ, რომ სამშობლოსათვის, ხალხისთვის კვდებოდნენ, მათ მტერზე კიდევ ერთხელ მორალურად გაამარჯვებინა (https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25). ამასთან ერთად, გამოიცა მეტეხის ციხის პოლიტიკურ პატიმართა მიმართვა საქართველოსადმი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ქუჩებში არავის აჩერებდნენ. რეპრესიები გაგრძელდა. 11 საათზე „სალდათის ბაზარზე“ სხვადასხვა უბნებიდან ხალხმა თავი მოიყარა და მიტინგი გაიხსნა.

ასწიეს ეროვნული დროშა „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით. წარმოსთქვეს სიტყვა. ორატორს და დროშას „ჩეკისტებმა“ სროლა აუტეხეს. დაიჭრა ერთი ქალი, ხალხი გაფანტეს. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) „ჩეკისტებმა“ ხალხს (ე. ნ.) დროშა ვერ წაართვეს. მრავალი დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

26 მაისს მთელი უნივერსიტეტი დააპატიმრეს. სტუდენტები ლექციებზე არ გაჩერდნენ, გამოვიდნენ უნივერსიტეტის ეზოში და მოაწყეს დიდი მიტინგი. მათ „მიუვარდა“ განათლების (აბრამიშვილი, 1996 : 3) სახალხო (ე. ნ.) კომისარი მარიამ ორახელაშვილი, მაგრამ ვერას გახდა. მთელი სტუდენტობა „ჟანდარმს“ ეძახდა.

ზოგი სტუდენტი მატარებლის ორთქლმავალზე შეხტა და (აბრამიშვილი, 1996 : 3) საყვირი (ე. ნ.) ააყვირა, სხვები ტაძრების სამრეკლოებზე ავიდნენ და დაიწყეს ზარების რეკვა. ზოგი თბილისის დეპოს მთელი ხმით აყვირებდა.

ყოველივე ეს მოხდა დღის 12 საათზე. ფილიპე მახარაძე კიდევ აიძულეს თურმე ემღერა ქართული ჰიმნი. დიდი და პატარა, მთელი ქალაქი მღეროდა... (აბრამიშვილი, 1996 : 3).

ქალაქში მთელმა დღემ გაიარა მღელვარებით.

ამ გამოსვლებმა ფეხზე დააყენა მთელი ქალაქი და „შეარყია“ კომუნისტური ბანაკი. როგორც გაირკვა, თვით რუსის ჯარშიც დიდი არევ-დარევა იყო, ძალიან ბევრი რუსის ჯარისკაცი დააპატიმრეს, რეპრესიები გაგრძელდა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ღამით იყო ჩხრეკა და დაპატიმრება.

დაჭრილ-დასახიჩრებული აღმოჩნდა 37 კაცი და ქალი, ნაცემი-ათობით და ათასობით. ყუმბარის სროლის დროს პეტრე დიდის ქუჩაზე მოკლულ იქნა ორი კაცი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), დაანგრიეს დუქანი და ორი ფურნე (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). 25-26 მაისს თბილისიდან გავიდა რამდენიმე ეშელონი კახეთ-ქართლისაკენ იქ მომხდარი ამბების გამო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). მეტეხში დაპატიმრებულთა ახალი ტალღა მიიყვანეს (https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25). მეტეხში მოათავსეს 72 ქალი. მუშების ძებნა და დევნა შემდეგშიც გრძელდებოდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

24 მაისს (ე. ნ.) თელავ-სიღნაღის მაზრებში დილის 3 საათიდან დაიწყო ზარების რეკვა, გაფიცვები. სოფლელებმა ყველგან შეაჩერეს მუშაობა. დაიკეტა დაბები და ყველა დაწესებულებები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

თელავის მაზრაში გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები, გადმოკიდეს ეროვნული დროშები. დემონსტრაციები არ მომხდარა.

სიღნაღის მაზრაში თითქმის ყველა ეკლესიებსა და სკოლებზე გადმოკიდებული იყო ეროვნული დროშები, გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები. ხალხი ჯგუფებად შეიკრიბა და აშკარად დაგმო მოძალადეთა შემოსევა. ყველგან გაისმოდა ეროვნული სიმღერები. ექსცესები არ ყოფილა. გურჯაანში გაიმართა მიტინგი, რომელმაც მიიღო სათანადო რეზოლუცია (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). გურჯაანიდან, თბილისიდან საჩქაროდ გადაიყვანეს ჯარები შიგნით კახეთში. ბევრ სოფელში ცემეს „ჩეკისტები“ და კომუნისტები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

თიანეთში სასტიკი ზომები ჰქონდათ მიღებული, რომ „მშვიდობიანობა“ არ დარღვეულიყო. ბევრი დააპატიმრეს. გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები. დემონსტრაციის ჩატარება არ იყო განზრახული (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

25 და 26 მაისი დუშეთის მაზრაში კარგად ჩატარდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ). დუშეთის მაზრაშიც წინასწარ რეპრესიებს მიმართეს. მრავალი დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). საშინელი რეპრესიების მიუხედავად (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ), ხალხმა მაინც შესძლო თავისი გულისწყრომის გამოხატვა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) მოძალადე კომუნისტების წინააღმდეგ და ენერგიულად

მოითხოვა საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ).

25 მაისს დუშეთში (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), მთელ ქალაქში და ყაზარმებში გავრცელდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ) პროკლამაცია-ფურცლები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) 26 მაისის შესახებ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ). ქალაქის შუაგულში - მოედანზე და სასწავლებლებზე ფრიალებდნენ ეროვნული დროშები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). იმ ღამეს „ჩეკა"-ს არ სძინებია. დროშებს გათენებისას დაუწყეს სროლა და ჩამოხსნეს, ხალხი კი ვერ დაიმორჩილეს და მან თავისი ნება-სურვილი მაინც გამოხატა. ხალხი მრავლად გამოვიდა ქუჩებში, გამართა დემონსტრაცია. ქალები იყვნენ სამგლოვიარო ტანსაცმელში. მთავრობის ადგილობრივი ჯაშუშ-აგენტები დაიბნენ. ბევრმა კომუნისტმა ბოდიშობა დაიწყო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ): ლანძღავდნენ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) თავის „ამხანაგებს" და მათ პოლიტიკას. მიტინგმა მიიღო სათანადო რეზოლუცია (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ), რომლითაც მოითხოვდა რუსის ჯარის გაყვანას და დამოუკიდებლობის აღდგენას (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

მუხრანმა 24 მაისს დაიწყო დიდი მზადება და იყო იმის იმედი, რომ გაიმართებოდა გრანდიოზული დემონსტრაცია, მაგრამ საქართველოს გამყიდველებმა გაამეფეს საშინელი რეპრესია - დაშალეს საორგანიზაციო კრება და დააპატიმრეს აქტიური ძალები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ).

მუხრანში ხალხმა ვერ შესძლო თავისუფლად ედღესასწაულა, მაგრამ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ე. წ. (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ) „სამხთოების" სახით მაინც მოახერხა თავისი სულისკვეთების გამოხატვა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ასეთივე „სამხთოები" გაიმართა 25-26 მაისს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ) საგურამოს რაიონშიც. ხალხმა დადო ფიცი, რომ ბოლომდე იბრძოლებდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. დღესასწაულმა მიიღო გრანდიოზული ხასიათი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

დღესასწაული გრანდიოზული იყო ყაზბეგის რაიონშიც (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ). მთელი ხევი (ყაზბეგის რაიონი) ამ დღეს თავისუფალი იყო (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ისმოდა სიმღერები, მოსჩანდა ეროვნული დროშები, გაიმართა მიტინგები, პროცესიები. ყველგან ტრიალებდნენ შეიარაღებული რაზმები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ). კომუნისტებმა გამოჩენაც ვერ გაბედეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მიტინგებმა მიიღეს შესაფერისი რეზოლუციები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ).

დუშეთის მაზრაში ბევრ ადგილას მოხდა დიდი შეტაკებები. დააპატიმრეს დიდძალი გლეხობა.

თბილისის მაზრაში, მანგლისში შედგა სახალხო მიტინგები, რომელთაც შეუერთდა რუსების დიდი ნაწილი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 გ).

ქართლში, გორის მაზრაში, 23 მაისიდან დაიწყო (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) სახალხო მოძრაობა. კომუნისტურ წრეებში დიდი შიში ჩამოვარდა (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). კომუნისტები დადიოდნენ, ეგონათ, აჯანყება იწყებოდა. მთელი შეიარაღებული ძალები გორში შეკრიბეს. ცხინვალში (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) ჩრდ. ოსეთიდან ჩამოიყვანეს შეიარაღებული ოსები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). 24 მაისს დილიდან დაიწყო ზარების რეკვა სხვადასხვა ეკლესიებში, ხალხი გამოვიდა თემებში. გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ყველგან „დაიკეტა კარები". „დაიკეტა" გორი (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა). სკოლებზე, ეკლესიებზე, ხეებზე - ყველგან მოსჩანდა ეროვნული დროშები; ქვემოჭალის, მეჯვრისხევის, პატარა ლიახვის და ტყვიავის რაიონებში ხალხს ოსებიც და სომხებიც შეუერთდნენ. გორში ქალაქგარეთ გაიმართა დიდი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6)

სახალხო (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) მიტინგი. ილაპარაკეს სხვადასხვა პარტიების ორატორებმა. მიტინგის შემდეგ მანიფესტაცია (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6) დროშებით (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) ქალაქში შემოვიდა. კომუნისტები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), მმართველი წრეები და მათი შეიარაღებული რაზმები პირველად დაიბნენ. მილიცია ხალხს შეუერთდა. ისმოდა სიმღერა „ვაშა საქართველოს“ (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და (ე. ნ.) ეროვნული ჰიმნი. დუქნები დაკეტილი იყო. ბოლოს მანიფესტაცია დაშალეს. მთელ ქართლში ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულების მუშაობა შეჩერდა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). გაჩერდა ტრანსპორტის მოძრაობა. კრამიტის, აგურის, ხილის ქარხნებში ყველგან დილიდანვე დაიწყო გაფიცვები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა), მუშაობა შეწყდა. ქსანის ქარხანაში მუშებმა დილიდანვე მიატოვეს სამუშაო და სახალხო მიტინგს შეუერთდნენ. აქ თბილისიდან გაგზავნილმა რუსის ებრაელმა კომუნისტმა შიშისაგან თავი მოიკლა, ხოლო მეორე კომუნისტი მანიფესტაციას შეუერთდა და დროშას მიესალმა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ძეგვში დილიდანვე დაიწყო სახალხო მიტინგი, რომელსაც მთელი მცხეთის მუშები და გლეხები შეუერთდნენ დროშებით. ზემო ქართლში სახელოსნოს (სახელოსნოების, - ე. ნ.) მუშებმა ყველგან მიატოვეს სამუშაო და ხალხთან ერთად გასწიეს ძმათა სასაფლაოზე; 25 და 26 მაისმა მთელ ქართლში ჩაიარა გაფიცვებით, მიტინგებით. ცხინვალში, ბარბაროსული რეპრესიების (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და (ე. ნ.) რეჟიმის მიუხედავად (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), 26 მაისს ასწიეს (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა) და (ე. ნ.) გადმოკიდეს ეროვნული და შავი დროშები. გორში გაფიცვისათვის დუქნებს ბეჭდები დაადეს. დააპატიმრეს 300-ზე მეტი მოქალაქე (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

თბილისიდან გაგზავნილი დამსჯელი რაზმები ქვემო ქართლშიც მოქმედებდნენ. ცემეს ბევრი ხალხი. ცემეს ბევრგან კომუნისტებიც. ზოგან დაარბიეს მთლიანად მათი კომისარიატები (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

შორაპნის მაზრაში, სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ეს დღეები ღირსეულად ჩატარდა. სადგურ შორაპნის დეპოს და მოძრაობის მუშებმა, კანტორის მოხელეებმა 24 მაისს, დილის 9 საათზე შეწყვიტეს მუშაობა. შეიკრიბნენ სადგურზე, ააფრიალეს ეროვნული და შავი დროშები, გაიმართა მიტინგი, სადაც წარმოსთქვეს სიტყვები. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვდნენ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, სიტყვის, კრებისა და ბეჭდვის თავისუფლებას და თავისუფალ არჩევნებს.

შემდეგ ხალხი დაიძრა ზესტაფონისაკენ იქაურ დემონსტრანტებთან შესაერთებლად, წინ „მიუძღოდათ“ ეროვნული და შავი დროშები. მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნს „დიდებას“. ზესტაფონში შესვლისას მათ შეეგება კომუნისტური რაზმი, რომელმაც გაუფრთხილებლად სროლა აუტეხა მშვიდობიან დემონსტრანტებს. დემონსტრანტების ნაწილი გაიფანტა, მეორე ნაწილი კი არ დანებდა და დროშას იცავდა. აქ ბევრი სასტიკად ცემეს. ფეხში მძიმედ დაიჭრა შორაპნის დეპოს მუშა ივანე ნინიკაშვილი, მეორე დაჭრილი მუშებმა ხელით გაიტაცეს, „ჩეკისტებს“ არ დაანებეს და გადამალეს (გვარი უცნობია). ნინიკაშვილიც იმ დღესვე საავადმყოფოდან გაიტაცეს, მაგრამ კომუნისტებმა ადრე გაიგეს, დაედევნენ, დაჭრილი წაართვეს და კიდევ დაჭრეს ერთი გამტაცებელთაგანი. ზესტაფონის რკინიგზის მუშები გამოვიდნენ დროშებით, მიიღეს ისეთივე რეზოლუცია (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), როგორიც მიიღეს სადგურ შორაპნის დეპოს და მოძრაობის მუშებმა, კანტორის მოხელეებმა (ე. ნ.). „მთავრობის“ აგენტებმა ხალხი სასტიკად ცემეს და მრავალი დააპატიმრეს. ძალიან ბევრი იყო სასტიკად ნაცემი და

დაშავებული.

შორაპნის მაზრის ყველა თემში: ჩხარის, თერჯოლის, ქვედა და ზედა საზანოს, ქვედა და ზედა საქარის, ხუნევ-ამაშუკეთის, ძირულის, ხარაგაულის, კიცხის, შორაპნისა და

კლდეეთის თემებში ხალხმა თავი მოიყარა. ყველგან, ეკლესიებსა და სკოლებზე ფრიალებდნენ ეროვნული და შავი დროშები. გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები, რომლებსაც ხალხში ჯგუფებად კითხულობდნენ, გაისმოდა შეუწყვეტლივ „დიდება“, ხალხი წყევლა-კრულვით იხსენიებდა კომუნისტებს.

26 მაისს საშინელი რეპრესიები იყო გამეფებული. ქუჩებში გამვლელებს სცემდნენ და აპატიმრებდნენ. დუქნები ძალით გააღებინეს. ამის მიუხედავად, ხალხმა მაინც შესძლო თავისი პროტესტის გამოხატვა.

ზესტაფონის ახალგაზრდობის - ტექნიკუმების სტუდენტთა და სკოლების მოსწავლეთა სადემონსტრაციო მიტინგმა მიიღო მოძალადეთა წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრი რეზოლუცია, რომელიც ასე თავდება: „ძირს რუსის ხიშტით გამაგრებული კომუნისტური მთავრობა! ძირს სამშობლოს გამყიდველები! გაუმარჯოს საქართველოს კანონიერ მთავრობას!“ (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ქუთაისში 24 მაისამდე იყო სასტიკი რეპრესიები. 24 მაისს დუქნები დაიკეტა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), ქალაქში ყოველგვარი „მაჯისცემა“ შეწყვეტილი იყო, არ მუშაობდნენ მეეტლეებიც კი (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). დაწესებულებები, თითო-ოროლა კომუნისტის გარდა, ყველამ დასტოვა. ქუჩებში რუსის პატრულები დადიოდნენ. მრავალ დუქანს კონფისკაციის მიზნით ბეჭდები დაადეს. ქუჩებში საეჭვო ხალხს აპატიმრებდნენ. შუადღისას ქალაქის ბოლოში (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), ქალაქის ბაღში (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4) გაიმართა მიტინგი. ასწიეს ეროვნული დროშა, ილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ. მიიღეს რეზოლუცია (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), რომლითაც მოითხოვდნენ რუსის ჯარის გაყვანას (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). „ჩეკისტები“ ხალხს დაერივნენ. დემონსტრანტები არ დანებდნენ. მრავალი დააპატიმრეს, ხალხი გაფანტეს; სადგურში 24 მაისს დილიდანვე შეწყდა ტელეგრაფის მოქმედება. მატარებელი დაგვიანებით წავიდა. მოსამსახურეებს სამუშაოზე ძალით ერეკებოდნენ. ყოველ ორთქმავალს ყარაულები მიუჩინეს, მემანქანეებს დაბლა არ უშვებდნენ, მრავალი დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ქუთაისის (ე. ნ.) სოფლებში ყველგან გაიმართა მიტინგები. ეკლესიებზე გამოკიდეს ეროვნული და შავი დროშები და იყო ზარების რეკვა. ბევრგან ადგილობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლები მიიმალნენ (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4).

ტყიბულში 24 მაისს მუშაობა სრულიად შეწყდა და არ განახლებულა 26 მაისამდე. გაიმართა მიტინგი, ასწიეს ეროვნული დროშა. კომუნისტებმა სრულებით ვერ შესძლეს ხელის შეშლა. დააპატიმრეს მუშები დიდი რაოდენობით.

დიდ-ჯიხაიშში, 24 მაისს, დილის 11 საათზე გაიმართა დიდი დემონსტრაცია. ეროვნულ და შავ დროშებს დიდძალი ხალხი „გაჰყვა“. აქ იყო შეგროვილი დიდი-ჯიხაიშის, იანეთის, ღანირ-ჭაგნის და გოჩა-ჯიხაიშის საზოგადოებები. კომუნისტები შეეცადნენ დემონსტრაციის ჩაშლას, მაგრამ ვერას გახდნენ.

დემონსტრაციამ მწყობრად და „დიდების“ სიმღერით გაიარა „რევკომის“, ფოსტის და აფთიაქის წინ და შევიდა ქვაშვეთის ეზოში. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაისმოდა ზარების რეკვის ხმა. გაიხსნა მიტინგი. ილაპარაკა ერთმა ორატორმა. მიიღეს რეზოლუცია. ხალხი მშვიდობიანად დაიშალა „გაუმარჯოს საქართველოს“, „ძირს მოძალადენის“ ძახილით. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს კომუნისტებმა დამხმარე ძალა და შეუდგნენ დაპატიმრებას. მრავალი დაპატიმრებული სამტრედიაში გადაგზავნეს.

ბაღდათის რაიონში გაიმართა მიტინგები. ხალხი აღფრთოვანებით გამოვიდა სადემონსტრაციოდ ეროვნული დროშებით.

კურსების რაიონშიც გაიმართა მიტინგები და დემონსტრაციები ეროვნული და შავი

დროშებით.

საჩინოში, დემონსტრაციაში დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა.

სამტრედიაში 24 მაისს ხალხმა თავი მოიყარა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინ. გაისმა ზარების სამგლოვიარო რეკვის და დეპოს საყვირის ხმა, რაც შეწყდა 9 საათზე. სამრეკლოზე ზარი დარეკეს. ეს იყო დროშის აწევისა და ხალხის შეჯგუფების ნიშანი. აფრიალდა ეროვნული და შავი დროშები. ხალხი დაიძრა მუშების შესახვედრად. ორკესტრმა დაუკრა „დიდება“. დეპოს მუშებს შეუერთდნენ რკინიგზის ყველა დარგის მოსამსახურეები. ზარების რეკვასთან ერთად აქაც ასწიეს ეროვნული და შავი დროშები და მწყობრად გაემართნენ ქალაქისაკენ. წინ, შუაში იდგა მოხუცი მუშა, რომელსაც ხელში ნოე ჟორდანიას სურათი ეჭირა. მღეროდნენ „დიდებას“. რკინიგზის ლიანდაგთან ორივე დემონსტრაცია საერთო ყიჟინით გაერთიანდა. დაუკრეს „დიდება“, ჩამოვარდა საერთო სიჩუმე. ხალხმა ქუდები მოიხადა. ამ დროს გაისმა თოფების გრიალი, დატრიალდა ჯოჯოხეთი. სროლის დროს მოკვდა ერთი მოხუცი კაცი, დაიჭრა რამდენიმე, ბევრი იყო სასტიკად ნაცემი. დააპატიმრეს აუარებელი მუშა, გლეხი, ახალგაზრდობა, ქალები. საღამოს ვაჭრებმა შეაგროვეს დაპატიმრებულთათვის რამდენიმე მილიონი მანეთი. კომუნისტებმა მათ ეს ფული ჩამოართვეს და შემგროვებლებიც დააპატიმრეს.

25 და 26 მაისს გაფიცვა გაგრძელდა. დიდი იყო რეპრესიები.

კულაშში ხალხი დროშებით გაეშურა სამტრედიისაკენ. ქალაქის შესასვლელში მათ გზა გადაუჭრეს, აუტეხეს სროლა. დაჭრეს რამდენიმე (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

სენაკის მაზრის ყველა ეკლესიებიდან გაისმა ზარების რეკვის ხმა, რომელმაც ორი საათი გასტანა. აქა-იქ გაისმა საყვირების ხმა. ზოგ რაიონში „მთავრობამ“ მოიფიქრა, სროლით შეეწყვიტა ზარების რეკვა, მაგრამ სამრეკლოსთან მისვლა ვერ გაბედეს.

სენაკში წინასწარ აუარებელი ხალხის დაპატიმრების გამო დემონსტრაცია არ შედგა. ხალხი ქალაქში არ შეუშვეს. ყველა ქუჩა „შეკრული“ იყო. გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები. გადმოკიდეს ეროვნული დროშები.

აბაშის რაიონში ხალხი განსაკუთრებული ენთუზიაზმით შეხვდა ამ დღეებს. ყოველ სოფელში ხედავდნენ ჯგუფებად შეყრილ ხალხს, რომელიც აშკარად გამოხატავდა თავის სიძულვილს დამპყრობელთადმი. ახალგაზრდების ჯგუფები ეროვნული სიმღერებით დადიოდნენ. კომუნისტებმა მთელ ძალებს დაბაში მოუყარეს თავი.

26 მაისს დაბაში გაიმართა მიტინგი. სიტყვა წარმოსთქვა მოქალაქე კუპრავამ. „ჩეკისტებმა“ მოინდომეს მისი დაპატიმრება, ხალხმა კი არ დაანება. ყველაფერი აირ-დაირია. თვით კუპრავამ დაამშვიდა ხალხი და „ჩეკისტებს“ დანებდა. ხალხი უმოწყალოდ სცემეს.

ბანძის რაიონშიც დემონსტრაციამ ფართო ხასიათი მიიღო. ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ შესძლო ხალხის შეჩერება.

26 მაისს ბანძაში ბაზრის გარეთ გაიმართა მიტინგი. აქედან ხალხი ეროვნული დროშებით და სიმღერებით გაემართა ბაზრისაკენ. აქ მათ შეეგება კომუნისტური რაზმი, რომელმაც უიარაღო და მშვიდობიან დემონსტრანტებს გაუფრთხილებლად სროლა აუტეხა. ორი დემონსტრანტი სასიკვდილოდ დაიჭრა. ხალხი არ შედრკა. ამ მხეცობით აღშფოთებული ხალხი დაერია კომუნისტებს, ყველას იარაღი აჰყარეს, თოფები წყალში გადაყარეს და ზოგიც იქვე დაამტვრიეს და დაყარეს. ზოგიერთი თავხედი კომუნისტი მაგრად ცემეს და მშვიდობიანად დაიშალნენ. მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა მაშველი „მფრინავი რაზმი“. მრავალი დააპატიმრეს. დაიწყეს გამოძიება. განსაკუთრებული სისასტიკით აწამეს დაპატიმრებული ბავშვები გამოტეხის მიზნით. ერთი მათგანი თავდაღმა ჭაში ჩაკიდეს, ხოლო მეორე ორ სკამზე დააკრეს ფეხებით და გასაგლეჯად გასწიეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს. გონებაწართმეული ბავშვები სარდაფში ჩაყარეს. ხალხი ასობით ტყეში გავიდა თავის გადასარჩენად.

მარტვილის რაიონში ლიდერები წინასწარ დააპატიმრეს. ხალხი სოფლებიდან მაინც გამოვიდა და ცენტრისაკენ გაეშურა, მაგრამ დაშალეს. ზარების მრეკავები და დემონსტრატების ნაწილი დააპატიმრეს. აუარებელმა ხალხმა ტყეს შეაფარა თავი.

დანარჩენ რაიონებშიც ხალხი გამოეხმაურა ამ დღეებს.

ზუგდიდის მაზრაში დემონსტრაციები არ ყოფილა. გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები, გადმოკიდეს დროშები. თვით ზუგდიდში იყო დემონსტრაციის მოწყობის ცდა, მაგრამ „ჩეკამ“ წინასწარ მიღებული ზომებით შესძლო მისი ჩაშლა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ფოთში პორტის მუშებმა მუშაობა შეწყვიტეს, დუქნები დაიკეტა. ასწიეს ეროვნული და შავი დროშები. დააპატიმრეს დიდძალი ხალხი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

აფხაზეთში ყველგან გავრცელდა პროკლამაცია-ფურცლები. ხალხში იყო დიდი ჩოჩქოლი. ლიდერები ხალხს თავდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ.

სოხუმში მრავალი დააპატიმრეს წინასწარ. მთელი კომუნისტური „ლაშქარი“ ფეხზე დადგა. რუსის ჯარმა ხალხის წინააღმდეგ გამოსვლაზე უარი განაცხადა: „ჩვენ აქ არ უნდივართ და ხალხს არ გადავიკიდებთო“.

ოჩამჩირეში ბაზარი დაიკეტა. გადმოკიდეს ეროვნული დროშები, ბევრი დააპატიმრეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

ბათუმში 20 მაისის შემდეგ დაიწყო დაპატიმრება. 24 მაისს დილიდან ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ ხალხმა თავი მოიყარა, გაიშალა ეროვნული და შავი დროშები (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). დემონსტრანტებმა ეროვნული დროშა ააფრიალეს ქალაქის თვითმმართველობის შენობაზე (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). გაისმა „დიდების“ მწყობრი „გალობა“. „საქართველო არ მომკვდარა, ქართველი ხალხი დაამტვრევს მონობის უღელს!“ - გაისმა ორატორის მოწოდება. მიტინგის წინააღმდეგ კომუნისტებმა მიმართეს მთელი თავისი ძალა. მოიყვანეს მეზღვაურთა რაზმიც. ბათუმის მთელი შეიარაღებული რაზმები იქ იყო. „ჩეკისტმა“ ასათიანმა ბრძანა ესროლათ ორატორისთვის, მაგრამ სროლა ვერავინ გაბედა. ხალხი დაიძრა ძმათა სასაფლაოსკენ. გაისმა სროლის ხმა. ისროლეს ჰაერში. ხალხი მაინც არ წავიდა. ქუჩები „შეკრეს“, არ დატოვეს გასასვლელი. დაერივნენ დემონსტრატებს. ბევრი იყო ნაცემი, მათ შორის ქალებიც. ხალხი გაფანტეს. დააპატიმრეს 350 კაცი და ქალი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). ბოლშევიკებმა ნურიის მოედანზე სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4).

ბათუმში (ე. ნ.) დუქნები დაკეტილი იყო (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მაღაზიები დაიხურა, მუშაობა შეწყდა ქარხნებში და სხვა დაწესებულებებში (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). სახელმწიფო (ე. ნ.) დაწესებულებებში არცერთი ქართველი არ გამოცხადდა. ფოსტაში ჯარი ჩადგა. გაჩერდა საბაჟო, ზღვის სანაპიროზე შეჩერდა მუშაობა. მთელი სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა გაფიცვა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

გურიაში დამოუკიდებლობის დღე, იმის მიუხედავად, რომ იქ დიდძალი რუსის ჯარი იყო დაბანაკებული, აღინიშნა სამი დღის საერთო გაფიცვით და გრანდიოზული დემონსტრაციებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ხალხი გამოვიდა მტრის წინააღმდეგ.

ოზურგეთში 24 მაისს ბაზარი დაიკეტა. მოძრაობა სრულიად შეწყდა. დაწესებულებებში ორიოდე კომუნისტის გარდა არავინ გამოცხადდა. სოფლებიდან გაისმა ზარების ძლიერი რეკვის ხმა. ქუჩებში იყვნენ რუსის პატრულები. ქალაქის განაპირა კუთხეებში სანგრები გათხარეს, დადგეს ტყვიამფრქვევები. ქალაქში დემონსტრაციების მოწყობა არ იყო განზრახული.

დვაბზუს თემში (თავკობულზე) თავი მოიყარეს დვაბზუს, შემოქმედის და ოზურგეთის ერთი ნაწილის მცხოვრებლებმა (ოზურგეთის მეორე ნაწილის მოსახლეობა ლიხაურში გაემგზავრა). აქ უნდა მოსულიყო აგრეთვე ბახვის თემი. მათ ადგილობრივი კომუნისტების „მეოხებით“ დააგვიანეს. მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიხსნა 9 საათზე. ილაპარაკა სამმა ორატორმა. ფრიალებდნენ ეროვნული და შავი დროშები. მიტინგი გაგრძელდა საათნახევარს. „მზვერავებმა“ აცნობეს ხალხს, რომ მიტინგს ჯარი

უახლოვდებოდა. ხალხი მშვიდად, სიმღერებით დაიშალა. მიტინგის ხელმძღვანელები ბახვის დემონსტრაციას შეეგებნენ. შეხვდნენ ქვემო ბახვში, სადაც სახელდახელოდ გაიმართა მიტინგი. მილიციამ მიტინგს ალყა შემოარტყა და ატეხა სროლა. ხალხმა ამას ყურადღება არ მიაქცია და მიტინგი განაგრძო. დასრულების შემდეგ სიმღერებით დაიშალნენ. მხოლოდ საღამოთი დააპატიმრეს კრების რამდენიმე მონაწილე.

ლიხაურში ეროვნული და შავი დროშებით მიტინგი გაიმართა აღმასრულებელი კომიტეტის შენობის წინ. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, ადგილობრივმა კომუნისტებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხეს. საღამოს დააპატიმრეს რამდენიმე.

ხვარბეთის თემში მიტინგი გაიმართა სოფელ კონჭკეთში. მილიციელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო მიტინგს სოფლის - სამხრეთ-ნატანების ხალხის ნაწილი ვერ დაესწრო. მიტინგი მშვიდობიანად ჩატარდა, რეზოლუცია მიიღეს და ხალხი იშლებოდა, როცა მილიციამ მოინდომა რამდენიმე პირის დაპატიმრება. ატეხეს სროლა. მძიმედ დაიჭრა ივანე მალაზანია. ხალხი დაიშალა. მილიციამ ერთ ადგილას ჩიხში მოაქცია ხალხის ერთი ჯგუფი და აუტეხეს სროლა, რომლის დროსაც მოკლეს ბიქტორ მალაზანია. დააპატიმრეს მრავალი. სოფელ კონჭკეთში ჩააყენეს რუსის ჯარი.

აკეთის და ზომლეთის თემები შეიკრიბნენ სოფელ ჭანჭათში. დიდძალი ხალხი შეგროვდა. მოსწავლე ახალგაზრდობა მწკრივებად დაწყობილი მოვიდა. მიტინგს კომუნისტები და მილიციელები გარს შემოერტყნენ. ხალხმა მათ დელეგაცია გაუგზავნა შემდეგი განცხადებით: „ხალხი აქ შეკრებილი ვართ მშვიდობიანად სადღესასწაულოდ. წინადადებას გაძლევთ, წინააღმდეგობა არ გაგვიწიოთო“. ამაზე მილიციელებმა ატეხეს სროლა. ხალხიდან გამოვიდნენ რჩეული ახალგაზრდები, რომლებმაც მილიციელებისათვის იარაღის აყრა მოინდომეს, მაგრამ მოწინააღმდეგენი მიიმალნენ. მიტინგი მშვიდობიანად დასრულდა. ხალხი ეროვნული და რევოლუციური სიმღერებით და „გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს“, „გაუმარჯოს მის მეგაირაღტრე ნოე ჟორდანიას“ ძახილით დაიშალა.

აცანაში მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოსთქვეს სიტყვები. პროცესია ეროვნული და შავი დროშებით გაემართა ძმათა სასაფლაოსკენ. მომიტინგეებმა აუარეს აღმასრულებელი კომიტეტის შენობას, კომუნისტებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს. ძმათა სასაფლაოზე ხალხმა პატივი მიაგო სამშობლოსათვის დაღუპულ ამხანაგებს. მიტინგი სიმღერებით მშვიდობიანად და აღფრთოვანებით დაიშალა. მილიცია მთელ ამ გზაზე ხალხს უკან დაჰყვებოდა.

ძიმითში მიტინგს დიდძალი ხალხი დაესწრო. მიტინგზე ილაპარაკეს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა. ორატორებს შიგადაშიგ „ვაშასა“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით აჩერებდნენ. შემდეგ გაემართნენ ძმათა სასაფლაოსკენ. კომუნისტებმა მათ სროლა აუტეხეს. ხალხმა კომუნისტებს იარაღი აჰყარა. მსხვერპლი არ ყოფილა.

ფიჩხის ჯვარზე თავი მოიყარეს ხიდისთავის, ნაგომარის და ასკანის თემებმა. მიტინგს აუარებელი ხალხი მოაწყდა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6). მიტინგი (ე. ნ.) დაახლოებით 7 ათასი კაცისაგან შედგებოდა (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). „მთავრობის“ აგენტებმა აქ წინასწარ მიიღეს განსაკუთრებული ზომები და ამიტომ მიტინგის გახსნა დაგვიანდა. ხალხმა თავისი გაიტანა და 11 საათზე მიტინგი მაინც გახსნა. ჰაერში ფრიალებდნენ ეროვნული და შავი დროშები. გაისმა ეროვნული ჰიმნი. ილაპარაკა სამმა ორატორმა. ხალხი აღტაცებით შეხვდა ორატორების სიტყვებს. 12 საათსა და 15 წუთზე მშვიდობიან მიტინგს თავს დაესხნენ ხიდისთავის კომუნისტები და მილიცია, სულ 40 კაცი. მათ მოუძღოდა ყოფილი დიაკვანი (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), მასწავლებელი (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4) შალვა ლომთათიძე, ყოფილი მილიციის უფროსი სამსონ ჭანიშვილი, ჯაშუშები: სიხარულიძეები და მიხაკო მეგრელიძე. მათ მოითხოვეს მიტინგის დაშლა. ხალხი არ გაინძრა. ატეხეს სროლა. ვერც ამით დაშალეს. მაშინ სამსონ ჭანიშვილმა შიგ ხალხში გადაისროლა ხელყუმბარა (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6), რის

შემდეგაც „ჩეკისტებმა“ თოფებიდანაც ატეხეს სროლა. განსაკუთრებით თავგამოდებით ისროდნენ მასწავლებელი შალვა ლომთათიძე და ვინმე კოპლატაძე. ხალხიდან სროლით არავინ უპასუხა, რადგან პარტიებმა წინასწარ გააფრთხილეს ხალხი, არავითარ შემთხვევაში იარაღისათვის არ მიემართათ და ისინიც მკაცრად იცავდნენ გაფრთხილებას. ამის მიუხედავად, მიტინგი არ დაიშალა მანამ, სანამ არ მიიღო შესაფერისი რეზოლუცია. თავმჯდომარე მხოლოდ მას შემდეგ ჩამოვიდა ტრიბუნიდან, როცა იგი ტყვიით ყბაში დაიჭრა (თავისუფალი საქართველო, 1922 : 4). მოკლეს: 1. იგორ სიმონიშვილის ცოლი; 2. ირაკლი კვაჭანტირაძის 11 წლის ბავშვი; მოკლეს კიდევ ერთი ბავშვი. მძიმედ დაჭრეს: 1. მიტინგის თავმჯდომარე სერგო ციტაიშვილი; 2. სევასტი სიამაშვილი; 3. მოსე ჯაველიძე; 4. ივანე ნაცვალაძე; 5. სამსონ ვაშალომიძე; 6. მ. ჩხაიძე; 7. ნიკო ღლონტის ცოლი - მარო ნინიძე; 8. მაშიკო ვაშალომიძე; 9. სერგო ნინიძე; 10. ჟღენტი; 11. ნიკა გაგუა; 12. ირაკლი კვაჭანტირაძის ცოლი (მოკლული ბავშვის დედა); 13. კ. გოგიბერიძე; 14. აკაკი ფოცხიშვილი და სხვ. სულ მოკლეს 3, დაჭრეს 35. მრავალი დააპატიმრეს.

ჩოხატაურის თემში მიტინგს დილიდანვე აუარებელი ხალხი მიაწყდა. ფრიალებდნენ ეროვნული და შავი დროშები. წარმოსთქვეს სიტყვები. მიიღეს შესაფერისი რეზოლუცია. კომუნისტებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლეს. მსხვერპლი არ ყოფილა. მიტინგი მშვიდობიანად დაიშალა.

ამაღლების თემში მიტინგს მრავალი ხალხი დაესწრო. ფრიალებდნენ დროშები. მღეროდნენ ეროვნულ სიმღერებს. კომუნისტები არ გამოჩენილან. მიტინგი აქაც მშვიდობიანად დაიშალა.

სურების თემში გაიმართა დიდი მიტინგი. ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები. ხალხში გაისმა ხმა: „ძირს სამშობლოს გამყიდველები! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ კომუნისტებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს, მიტინგი მშვიდობიანად და სიმღერით დაიშალა.

სოფელ მოედანში შეგროვდნენ სუფსისა და ჩოჩხათის თემების მცხოვრებნი. გაიმართა დიდი მიტინგი. მიიღეს რეზოლუცია. დასრულებისას მიტინგს მოუსწრეს კომუნისტურმა რაზმმა და სუფსის რაიონულმა მილიციამ. ხალხს სროლა აუტეხეს. მოკლეს გიორგი გუჯაბიძე და მძიმედ დაჭრეს ოთხი, მსუბუქად რამდენიმე.

სოფელ ხაჯალაში თავი მოიყარეს ნიგვზიანის, ჯუყვეთის და ნინოშვილის თემებმა. აქაც იყო ერთსულოვანი გამოსვლა. მილიციამ მათ სროლა აუტეხა. მოკლეს გელაია და დაჭრეს რამდენიმე.

სოფელ ორბეთში შეიკრიბნენ მიქელ-გაბრიელის და ჩოჩხათის თემები. კომუნისტური რაზმი ხალხს თავს დაესხა, მაგრამ მათ იარაღი აჰყარეს, ამიტომ მსხვერპლი არ ყოფილა.

ლანჩხუთის რაიონში სამ დანიშნულ პუნქტში ხალხი შეიკრიბა მახლობელი თემებიდან. ყველგან იყო დროშები და ისმოდა სიმღერები. აქედან ხალხი გაემართა ლანჩხუთისაკენ. აქ მათ გადაეღობა კომუნისტური რაზმი. ატყდა სროლა, რომელმაც ნახევარი საათი გასტანა. მოკლეს რამდენიმე დემონსტრანტი და ბევრიც დაჭრეს. დააპატიმრეს მრავალი.

25 მაისს სასტიკი რეპრესიები იყო მთელ გურიაში.

26 მაისს გაფიცვა ყველგან გაგრძელდა, მაგრამ ფართო დემონსტრაციების მოწყობა არ მოხერხდა. მხოლოდ დვაბზუს თემში, ეკლესიის გალავანში (იქვე იყო ძმათა სასაფლაო), გაიმართა მიტინგი. რუსის ჯარმა „ჩეკისტების“ წინამძღოლობით მიტინგი გაფანტა. მოკლულები დაასაფლავეს 26 მაისს. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. მიცვალებულთა ბინები და სასაფლაო რუსის ჯარმა დაიკავა. ლაპარაკის ნება არავის მისცეს და ხალხი გაფანტეს. დიდძალი ხალხი დაიჭირეს, ბევრი მიიმალა. სავაჭროებს და სახელოსნოებს ბეჭდები დაადეს. გაფიცვისათვის ვაჭრებს გადაახდევინეს ჯარიმა ერთიდან

შვიდ მილიონ მანეთამდე. დაწესებულებებიდან მოსამსახურეთა ნაწილი დაითხოვეს (სრშსსა, II, უშიშროების არქივი, 6).

1922 წლის 29 მაისს თბილისში, ოპერის თეატრის დარბაზში მოიწვიეს თბილისის ე. წ. „საოკუპაციო საბჭოს“, პროფკავშირების კომიტეტებისა და კონფერენციის დელეგატების გაერთიანებული სხდომა მომხდარი გამოსვლების გამო. სხდომას „საგანგებო კომისიის“ თავმჯდომარემ, კოტე ცინცაძემ ინფორმაციის სახით აცნობა გამოსვლების ისტორია. მხოლოდ სერგო ქავთარაძე, მიხეილ ოკუჯავა და ფილიპე მახარაძე წინასწარ სიტყვებში ძალიან მკაცრად შეეხნენ გამოსვლებს. იქ დამსწრე დელეგატ მუშებს სიტყვა არ მისცეს განცხადებისათვის, რის შემდეგ მუშა-დელეგატებმა პრეზიდიუმს შემდეგი წერილობითი განცხადება გადასცეს გამოსაქვეყნებლად (სტილი დაცულია):

„ჩვენ, ერთი ნაწილი ამ კრებისა, ნამდვილი წარმომადგენლები თბილისის მუშებისა და მოსამსახურეებისა, 24, 25 და 26 მაისის მშვიდობიანი გამოსვლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეებში დაღვრილი სისხლის, საშინელი სამხედრო რეპრესიებისა და უამრავი მუშა-მოქალაქეთა და ახალგაზრდობის დატყვევების გამო, საქვეყნოდ ხმამაღლა პროტესტს ვაცხადებთ; პროტესტთან ერთად ვაღიარებთ, რომ მუშათა კლასის და ერის დაუკითხავად, ზევიდან ხალხისათვის უცნობ ხელისუფალთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ბრწყინვალე დღე - 26 მაისი შეცვლილ იქნა 25 თებერვლით, ე. ი. იმ დღით, როდესაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში შემოვიდა საოკუპაციო ჯარები და დაიწყო ქართველი ერის გლოვა. ამის გამო 24, 25 და 26 მაისს საქართველოს ყოველ კუთხეში, საქართველოს მუშათა კლასმა და მთელმა ერმა თავისი ერთსულოვანი მშვიდობიანი გამოსვლებით: გაფიცვებით, მანიფესტაციებით, ეროვნული და შავი დროშებით სასტიკი პროტესტი გამოუცხადა დამპყრობლებს. ამ მშვიდობიან გამოსვლებს ცეცხლით, მახვილით და სისხლით გასცეს პასუხი უცხო ჯარებმა. ამ დღეებს არ დაივიწყებს საქართველოს მუშათა კლასი. იმ დადგენილებას, რომელიც თქვენ აქ გამოგაქვთ, არავითარი ღირებულება არ ექნება, ვინაიდან ეს კრებული მოკლებულია მუშათა კლასის ნდობას“. მაგრამ ამ განცხადების გამოქვეყნება უარყოფილ იქნა... (სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები, 1313 ა).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აბრამიშვილი, მ. (1996). 1922 წლის 26 მაისი (მოგონება). *გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“*. 1. 06. 1996.

გლსქლსმ. (025995*). გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.* დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ფონდი. №025995.

თავისუფალი საქართველო. (1922). 26 მაისის აღნიშვნა. ჟურნალი *„თავისუფალი საქართველო“*. სტამბოლი-პარიზი. №24. 10 ივლისი. 1922.

სრშსსა, II, უშიშროების არქივი. (6). საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. II განყოფილება. უშიშროების არქივი. ფონდი 6. საქმე №22254.

სრშსსა, პარტიული არქივი. (13). საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. პარტიული არქივი. ფონდი 13. აღწერა 1. საქმე 52. 6. სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები. (1023). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე 1023.

სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები. (1305). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921

წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის
ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე 1305.
სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები. (1313 ა). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე 1313.
სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები. (1313 ბ). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე 1313.
სცსსა, ჰარვარდის მიკროფირები. (1313 გ). საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მუშათა პარტიის არქივის ჰარვარდის ფონდის (აშშ) მიკროფირები. საქმე 1313.
https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25. https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25.1922 წლის 26 მაისი მეტეხის ციხესა და საქართველოში.

REFERENCES

Abramishvili, M. (1996). The memory of Abramishvili Mariam, on May 26, 1922. The Newspaper “Georgian Republic”, this paper is written in Georgian language dated 1.06.1996.

G L S M G L. (025995). Georgian Literature State Museum of Giorgi Leonidze. Fund of prist Nikita Talakvadze. N 025995.

Taviisufali Saqartvelo. (1922). Celebration of 26th May. Journal “Taviisufali Saqartvelo” (“Free Georgia”). Istambul - Paris. N 24. on 10th July. 1922.

A M I A R G, II, Security Archive. (6). Archive of the Ministry of Internal Affairs of the Republic of Georgia, II Department, Security Archive, Fund 6, Task N 22254.

A M I A R G, Party Archive. (13). Archive of the Ministry of Internal Affairs of the Republic of Georgia. Party Archive. Fund 13. Description 1. Task 52.

G C S H A, Harvard Fund micro records. (1023). Georgian Central State Historical Archive. Georgian Democratic Republic (1918-1921), Social Democratic (Menshevik) labor Party’s Harvard Fund (The USA) micro records. Task N 1023.

G C S H A, Harvard Fund micro records. (1305). Georgian Central State Historical Archive. Georgian Democratic Republic (1918-1921), Social Democratic (Menshevik) labor Party’s Harvard Fund (The USA) micro records. Task N 1305.

G C S H A, Harvard Fund micro records. (1313 a). Georgian Central State Historical Archive. Georgian Democratic Republic (1918-1921), Social Democratic (Menshevik) labor Party’s Harvard Fund (The USA) micro records. Task N 1313.

G C S H A, Harvard Fund micro records. (1313 b). Georgian Central State Historical Archive. Georgian Democratic Republic (1918-1921), Social Democratic (Menshevik) labor Party's Harvard Fund (The USA) micro records. Task N 1313.

G C S H A, Harvard Fund micro records. (1313 g). Georgian Central State Historical Archive. Georgian Democratic Republic (1918-1921), Social Democratic (Menshevik) labor Party's Harvard Fund (The USA) micro records. Task N 1313.

https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25. https://fabiansocialists. wordpress.com > 2015/05/25. Metekhi Castle and Georgia, 26th May in 1922.